645 / 1986 / 4
ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509

10
1986



დ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი

რთველი.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 5 ოქტომბერი — მასწავლებლის დღე

მარიკა ბარათაშვილი

# მასწავლებელი

18. 5 37

მაგონდება ყველაზე ლამაზი, ყველაზე საყვარელი ჩემი პირველი მასწავლებელი.

მოგვიანოდ, როდესაც ჩემს მასწავლებელზე ჩამოვარდნილა ლაპარაკი, გავოცებულვარ, რომ ელენე გამყრელიძე თურმე არც ისე ლამაზ ქალად ყოფილა მიჩნეული, როგორიც მეხსიერებას შემორჩა:

მაღალი, ჭკვიანური შუბლი, კეთილი, შუქჩამდგარი თვალები, შუაზე გაყოფილი თმა ერთ მსხვილ ნაწნავად ჩაუწნავს. სადა, გემოვნებით შეკერილი და მოხდენილად მორგებული, მაქმანით გაწყობილი თეთრი კოფთა და შავი ქვედატანი აცვია... II კლასში (მაშინდელ II განყოფილებაში) რომ გადავედი და სოფლად, ბებიასთან მივემგზავრებოდი, დედას მანამდე არ მოვეშვი, სანამ თეთრი კოფთა და შავი ქვედატანი არ შემიკერა. თმაც ელენე მასწავლებელივით დავივარცხნე და არ ვიცი, რამდენად დავემგვანე ჩემს იდეალს, მაგრამ ასე კი მოვევლინე ტოლ-სწორებს, გავხსენი „სკოლა" და შევუდექი „მასწავლებლობას". მახსოვს, კარგად მახსოვს, როგორ ვცდილობდი მეტყველებითაც ჩემი მასწავლებლისათვის მიმებაძა (მას მშვიდი ხმა ჰქონდა და დინჯი, შთამბეჭდავი მეტყველება).

ბუნებრივია, შემდეგი კლასების მასწავლებლებშიც იმ პირველის ორეულს ვეძებდი. იმის მიხედვით ვაფასებდი ყოველ მათგანს, თუ რამდენად ჰგავდნენ ისინი თავისი შინაბუნებით თუ იერსახით იმ ჩემს პირველ სათაყვანებელ მასწავლებელს.

სათაყვანებელს მეთქი! დიახ, ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში არიან ადამიანები, რომელთა პიროვნებასაც ჩვენზე დიდი, თითქმის მაგიური ზემოქმედების ძალა აქვთ, უფრო ხშირად კი — ორი პროფესიის ადამიანები: მასწავლებელი, მოძღვარი, რომელმაც ცხოვრების გზაზე ხელჩაკიდებული გამოგვიყვანა, და ექიმი, რომელმაც განსაცდელის ჟამს გვიშველა.

სათაყვანებელი ადამიანისა ყველაფერი უნდა გხიბლავდეს. როცა ჩემს მასწავლებელზე გიამბობდით, ჩაცმულობას ტყუილად როდი გავუსვი ხაზი: მისი კეთილშობილური სისადავე მის კეთილშობილურ ბუნებასაც გამოხატავდა.

ისე არავინ გამიგოს, თითქოს დღევანდელ მასწავლებელსაც იმას ვუქადაგებდე, თმა დაიწანით, მხოლოდ შავი ქვედატანი და თეთრი კოფთა ჩაიცვით-მეთქი, რა თქმა უნდა, არა.

ამას წინათ ერთი პედაგოგი გოგონასაგან წერილი მივიღე. ჩიოდა, სკოლის დირექტორმა ამითვალწუნა, რადგან მოდაზე მაცვია და თვალებს ვიღებავო. ის გოგონა მე არ მინახავს და ვერ ვიტყვი, რამდენად სამართლიანია მისი უფროსის პრეტენზიები, ერთი რამ კი უეჭველია: მოდა ყველასათვის არსებობს, მოდას ყველამ უნდა მისდიოს — მსახიობმაც და მასწავლებელმაც, ექიმმაც და სტუდენტმაც. მოდა სალანძღავი სიტყვა როდია. ეს არის სიახლე ტანსაცმლისა და ვარცხნილობისა, ანდა სხვადასხვა მოხმარების საგნების სტილი. მას სასიამოვნო მრავალფეროვნება შემოაქვს ადამიანთა ყოფაში. დღეს მოდის წინააღმდეგ ბრძოლა ქარის წისქვილებთან ბრძოლას ჰგავს.

მაგრამ მოდა ყოველთვის სთავაზობს ადამიანებს ფართო ასორტიმენტს, ასე რომ, ყველას შეუძლია თავისთვის შესაფერი ნიმუშების შერჩევა და მერე უკვე ჩვენი გემოვნების გამოცდა დგება: რას შევარჩევთ, რას მოვიწონებთ.

მასწავლებელი და მოდა! ამ თემაზე ბევრი უკამათიათ, ბევრი თქმულა და დაწერილა, საკამათო კი არაფერია: მასწავლებელი ვალდებულია, რომ გემოვნებით, მოდურად ეცვას. ვალდებულია სწორედ მისი პროფესიის გამო. მისგან ძალაუნებურად სწავლობენ, მისი მაგალითით გემოვნება უყალიბდებათ. სწორედ სკოლაში, სწავლის წლებში ყალიბდება მოზარდის ესთეტიკური გემოვნება.

არ შეიძლება მასწავლებელი ფეხად მოსიარულე ანაქრონიზმი იყოს. მაგრამ არც მოდის ყოველგვარი ჭირვეულობის აყოლა, ულტრამოდური გატაცება შეიძლება. როგორც არ შეიძლება მასწავლებელ ქალს ოცდაათი წლის განმავლობაში ერთ თარგზე შეკერილი კაბა და კოფთა ჰქონდეს, ასევე არ შეიძლება მას ვულგარულად, გამომწვევად ეცვას.

სხვათა შორის, ეს მარტო მასწავლებელს არ შეეხება. მოდის კანონმდებლები ყოველთვის ხაზს უსვამენ იმას, რომ ტანსაცმელი და კოსმეტიკა დღისით და საღამოს, სამსახურში და თეატრში არ შეიძლება ერთნაირი იყოს. სამსახურს, საქმიან გარემოს არ უხდება ზედმეტად დეკოლტირებული კაბა, ჭარბი გრიმი. და ეს, უპირველესად, არ უხდება სკოლის გარემოს, საკლასო ოთახს. არ უხდება თუნდაც იმიტომ, რომ მასწავლებლის ტანსაცმლის, აქსესუარების, სამკაულებისა და გრიმის თვალიერება მოსწავლეს ყურადღებას უფანტავს.

მასწავლებელთა ერთ შეკრებაზე ასეთ ფრაზას მოვკარი ყური: ყველა პროფესია ადამიანისაგან რაღაც მსხვერპლს მოითხოვსო. ეს, შეიძლება ზოგადად სწორი აზრია, ამ შემთხვევაში კი იმის გამო იყო ნათქვამი, რომ მასწავლებელმა მსხვერპლად უნდა გაიღოს „კოხტა ჩაცმა-დახურვა", ქცევის თავისუფლება და ასე შემდეგ. მაგრამ განა მსხვერპლის გაღებაა ახალგაზრდა პედაგოგისათვის უარის თქმა „თანამედროვე" ქუჩურ ჟარგონზე, ვულგარულ მანერებზე, უგემოვნო, გამომწვევ ჩაცმულობაზე?

არა, ეს ყველაფერი მოწოდებით პედაგოგისათვის უთუოდ სულიერი მოთხოვნილებაა. მასწავლებელს ყველაფერი მშვენიერი უნდა ჰქონდეს, მისას ყველაფერს უნდა აჩნდეს კეთილშობილური სისადავის ბეჭედი.

მასწავლებლის იერსახეს მრავალი რამ განსაზღვრავს: მისი პირადი ცხოვრების მაგალითი, მისი სიკეთე, წესიერება და ქცევის კულტურა, თავისი საქმის ღრმა ცოდნა და ამ ცოდნის გადაცემის ოსტატობა. ყველაფერი ეს ის წყაროა, რომელიც კვებავს და ახარებს მოზარდის სულსა და გონებას.

შრომითი აღზრდის გაძლიერების აუცილებლობა სკოლაში მხოლოდ დროის მოთხოვნით კი არ იყო ნაკარნახევი (სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის კადრების აღზრდა და სხვა), არამედ მოზარდის მოქალაქედ ჩამოყალიბების ინტერესებითაც. შრომის სიყვარულით აღზრდილი, შრომის ჩვევებს დაუფლებული ახალგაზრდა ძლიერია, ბრძოლისუნარიანი, მიზანსწრაფული, შრომითი აღზრდა დღევანდელი სკოლისათვის ამოცანათა ამოცანაა და, უნდა ითქვას, რომ არაფერი ვნებს არცერთ საქმეს, — და მით უფრო სწავლა-აღზრდისას, — ისე, როგორც მოჩვენებითობა, ფორმალიზმი.

მაგონდება: ბავშვი უზომოდ დაღლილი დაბრუნდა სკოლიდან. გამოირკვა, რომ იმ დღეს შრომის გაკვეთილზე მოსწავლეებს სკოლის ეზოს ერთი კუთხიდან — მეორეში კასრებით გადაჰქონდ-გადმოჰქონდათ არავის და არაფრისთვის საჭირო სილა. და ამას „შრომის გაკვეთილი" ერქვა!

ეს კი ამ ორი წლის წინათ ნანახი სურათია: ზამთარია. ერთ-ერთი ქარხნის ჭუჭყიანი საამქროს კუთხეში რამდენიმე მოსწავლე მობუზულა. საამქროში ცივა, გამაყრუებელი ხმაური დგას. ყმაწვილებისათვის არავის სცალია. ზოგჯერ ასე „ვაყვარებთ" შრომას მოზარდებს და გვიკვირს როცა სკოლის დამთავრების შემდეგ ასეთ ქარხანაში თუ ფაბრიკაში არ მიუხარიათ.

სასკოლო რეფორმის სიახლეთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შრომითი აღზრდის სრულყოფისათვის ახალი, საინტერესო გზების ძიებაა და ამ საქმეში კვლავ და კვლავ უმთავრესი ფიგურა მასწავლებელია.

მოსწავლეთა მინი-კოლმეურნეობებს, საწარმოო ბრიგადებს, შრომითს სემესტრებს ეკონომიკურზე მეტად, მორალური ღირებულება აქვთ. სკოლებში, სადაც შრომითი აღზრდა საიმედო ხელშია, შედეგიც დამაიმედებელია.

ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისის 161-ე სკოლაში ვიყავით და, გადაუჭარბებლად შემიძლია თქმა, რომ მოგვხიბლა მოსწავლეთა მშვენიერმა ნამუშევრებმა. მერე რამდენია ჩვენში იმ სკოლის ბადალი, რამდენი ქების ღირსი ოსტატი და მასწავლებელი!

ისიც მაგონდება: ერთ სკოლაში ბიჭებმა ახალგაზრდა მასწავლებელი აიგდეს. ქალი შემომჩიოდა, ყალთაბანდი, უწესო ბიჭები არიანო, მაგრამ იმავე კლასს გეოგრაფიის მასწავლებელი ჰყავდა, ვერა გალდავა — მშვიდი, შინაგანად გაწონასწორებული, თავისი საქმის უზომოდ მოტრფიალე პედაგოგი. ის გაკვეთილზე ხმას არ აუწევდა, მაგრამ მოსწავლეები მოჯადოებულებივით უსმენდნენ და ყოველ სიტყვას ღრუბელივით ისრუტავდნენ.

მე თვითონ მასწავლებლის ოჯახიდან ვარ. მე და ჩემმა ძმამ ანბანზე ადრე ოჯახში შრომის პატივისცემა, ობლისა და გაჭირვებულის სიყვარული ვისწავლეთ, რადგან ჩვენს ჭერქვეშ ჩვენი სოფლელი ვინმე ობოლი და გაჭირვებული არ დალეულა და განა მარტო ჩვენი სოფლელი! — მამაჩემმა 1918 თუ 1919 წელს ბორჯომის რკინიგზის სადგურში ნაპოვნი ორი პატარა ობოლი, სომეხი გოგო და ბიჭი ჩამოიყვანა და ჩვენთან ერთად, ჩვენს ოჯახში დაზარდა.

ბევრ ჩინებულ პედაგოგს ჰქონდა ჩემს მშობლებთან ახლო მეგობრობა, ბევრი მათგანის ზრუნვა და ამაგი სამუდამოდ შემორჩა გულსა და გონებას. იყვნენ ახლო ნათესავებიც, რომელთა ცხოვრებამ ჩემს თვალწინ გაიარა...

ერთი მათგანი, საუკეთესო პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე მარგარიტა ვაშაძე თავისი სიცოცხლის ბოლო შვიდი წელი პარალიზებული იყო, საწოლს მიჯაჭვული, მაგრამ მაინც ვერ თმობდა საყვარელ პროფესიას და უკანასკნელ ძალღონეს არ იშურებდა, რომ თავისი უბნის ბავშვებისათვის რუსული ენა ესწავლებინა. ეს მარტო რუსული ენისა კი არა, არამედ სჰეტაკი ზნეობის, ჰუმანურობის, უანგარობის, სულგრძელობის გაკვეთილები იყო. ეს გაკვეთილები და რწმენა იმისა, რომ მას ჯერ კიდევ შეუძლია ადამიანებისათვის სარგებლობის მოტანა, რომ ვიღაცას სჭირდება მისი ცოდნა და პედაგოგიური ხელოვნება, ავადმყოფს ღონეს მატებდნენ და სიცოცხლეს ულამაზებდნენ.

აქ ბავშვებიც გრძნობდნენ ამ გაკვეთილების წუთების სიდიადეს, გრძნობდნენ, რომ მათს თვალწინ ხდებოდა რაღაც უჩვეულო, რაც თითქოს ამშვენებდა, აახალგაზრდავებდა ამ მოხუც, დავრდომილ ადამიანს და სულგანაბულნი უსმენდნენ მის ყოველ სიტყვას.

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდება"... ალბათ ასე დააჩნდა კალისტრატე ბარათაშვილის მოსწავლეების სულს ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები. ამიტომ იყო, რომ ისინი — ორმოცამდე ნამოწაფარი, ახლა უკვე ბებიები და ბაბუები, წლების განმავლობაში საკუთარი შვილებივით ევლებოდნენ თავს უკვე ხანდაზმულ და მძიმედ დაავადებულ საყვარელ მასწავლებელს. დარბოდნენ საავადმყოფოებში, დაეძებდნენ მისთვის წამლებს, საგზურებს და უკანასკნელ გზაზეც დიდი პატივითა და გულისტკივილით გააცილეს. ასევე დიდი სიყვარულით იგონებენ ჭიათურაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ბაბო ბარათაშვილს — „ბაბო მასწავლებელს".

არა, არც თავისი პროფესიის სიყვარულის „გათამაშება" შეიძლება და არც ადამიანთა ამ კეთილი ურთიერთდამოკიდებულებისა!

ეს მასწავლებლები თავისი საქმის ზედმიწევნით ცოდნასთან ერთად დიდი შინაგანი კულტურით იყვნენ მომხიბვლელნი და გარეგნული ფორმაც მათს შინაბუნებას შეესატყვისებოდა.

და განა ცოტაა მათი მსგავსი?

უპირველესად მათ, დიდებულ მასწავლებლებსა და მოღვაწეებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ კეთილი პირადი მაგალითით, ბავშვების ჭეშმარიტი სიყვარულით, დიდი მოთმინებითა და ტიტანური შრომით, დიდი პედაგოგიური ხელოვნებით ზრდიდნენ და ზრდიან სწავლის მოტრფიალე, შრომისმოყვარე, პატიოსან, ნიჭიერ, კეთილშობილ ადამიანებს.



დ. იაკობაშვილის ფოტო

# ივეტა ლადიძე

ივეტა ლადიძე თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. მას აქვს სწავლების ახლებური მეთოდი, სწორად აღიქვამს და ატარებს სასკოლო რეფორმას და თბილისის მასწავლებელთა დიდ არმიაში ერთერთი საუკეთესოა. 1982 წელს, ორი ათეული წლის მანძილზე მოღვაწეობის შემდეგ ივეტამ გაიმარჯვა კონკურსში და წლის საუკეთესო პედაგოგის წოდება დაიმსახურა. 1984 წელს იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. იმავე წელს „განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით დააჯილდოვეს. უანგარო და თავგამოდებული შრომის შედეგია, რომ მის მოსწავლეებს გამორჩეულად უყვართ რუსული ენა და ღრმად ეუფლებიან უმდიდრესი ლიტერატურის საფუძვლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოქროდ ელვარებს მტევანი

ბინდი ნახირის ბღავილთან, ავტომანქანების გუგუნთან და ცხენის ურმების ჭრიალთან ერთად შემოდის სოფელში. ნელ-ნელა მუქდება კავკასიონი, რომელიც ისე ახლოს არის, გგონია, ხელს გაიწვდი და შეეხები. თავგამეტებით მღერიან ჭრიჭინობელები — ხვავიანი შემოდგომის ერთგული თანამგზავრები, ხოლო როცა ყოველივე ამას დიდი ქათქათა მთვარეც ახლავს, ხომ აღარაფერი შეედრება კახეთს!

წლის ყოველ დროს დაძაბულად მუშაობს კაცი, „თავის მოსაფხანად“ არასოდეს სცალია, მაგრამ შემოდგომობით მაინც სხვაა. ვინც დილიდან დაბინდებამდე ერთხელ მაინც არ ყოფილა რთველში, ყურძნის კრეფა, გამოტანა და დაბინავება „ჩიტის ბრდღვნა“ ჰგონია. დიახ, შემოდგომა ხვავთან და ბარაქასთან ერთად უძილო ღამეებიც არის, ფეხზე შემოღამებული დღეც, არაქათის გაცლამდე ტრიალიც. სხვაგვარად არ შეიძლება — მთელი წლის მანძილზე ნასათუთარ-ნალოლიავებ ვაზს არ ეღალატება. ვაზი ქართველი კაცის იმედი, სინდის-ნამუსია. ვინ იცის, როდის, რომელ საუკუნეში ამოხეთქა გლეხის გულიდან: „ვაზო, შენ უნდა გამიპატიოსნო მიცვალებული, შენ უნდა ამიმაღლო ოჯახი, გამომაჩინო მტერ-მოყვარესთან, შენ უნდა დამადგა ავკარგიანი კაცის გვირგვინი“. და მართლაც, ასე ულალატოდ, ერთმანეთის იმედად მოდიან ცხოვრების დიდ გზაზე ქართველი კაცი და ქართული ვაზი, ერთად იყოფენ თაკარა მზის სიცხოველეს თუ ამინდის ავზნიანობას. ერთმანეთს შველიან ჭირსა და ლხინში.

მარტო სეტყვას რამდენჯერ გადაურჩნენ!

რა გვალვებს გაუძლეს!

და ყოველთვის, დიდი ბრძოლის, შრომაგარჯის შემდეგ მორჭმით დაბრძანდება ხოლმე ტახტზე ბუნების საოცრება, მისი უდიდებულესობა შემოდგომა, რომლის შნო და ლაზათი ქართული ვაზია.

...შილდაში ისე ვრცელია ღვთით ნაკურთხი ვაზის რიგები, შიგ იმდენი მარილიანი ქალი და ხარისქედიანი ვაჟკაცი ტრიალებს, შეუსვენებლადაც რომ შემოიარო და თუნდაც თითო სიტყვა უთხრა თითოეულ ადამიანს, რამდენიმე დღეც არ გეყოფა. ჩვენც დროს დავეშურეთ და იმ ბრიგადებს ვეწვიეთ, რომელთაც ამ სოფლის გამორჩეული ქალები რუსუდან მჭედლიშვილი და ეთერ შუხოშვილი ხელმძღვანელობენ.

რუსუდანის ბრიგადა 47 ჰექტარ მსხმოიარე ვენახს უვლის, ეთერისა — 51-ს. ერთის ნაკვეთები „ხშირმუხებთან“ არის, მეორისა — წყალსაცავის გვერდით. ო, რა სწრაფად ტრიალებს შრომას მიჩვეული ხელები! როგორ ბდღვრიალებს ქარვისფერი მტევანი! აგერ, „ბურდიაშვილების უბნის ბრიგადა“ — თითქმის ყველა ბურდიაშვილია და ამიტომ შეგვარქვეს ასეო, — ეღიმება რუსუდანს. მერე ჩამოგვითვალა — ციცინოც ბურდიაშვილია, ირინეც თამარიც, ზილფაც, კუნწულაც, იზაც, ქეთევანიც, ავქსენტიც... სხვა გვარისა რამდენიმე გვირევია — ლამარა გუდიაშვილი, ეთერ ოთარაშვილი, ნუნუ ახაბაშვილი, დილარ აღნიაშვილი...

დღეში ნორმით 300 კილოგრამი ყურძენი უნდა მოკრიფონ, 900-1000 კილოგრამს კრეენ.

ხუმრობა როდია, ბრიგადამ 388,5 ტონა ყურძენი უნდა მიიტანოს სახელმწიფო მარანში. შარშან 476,8 ტონა მოიწიეს. აბა, რუსუდანი თავად ხომ არ ილაპარაკებს თავის თავზე, კოლმეურნეობის პარტკომი არჩილ აღნიაშვილი „ეხმარება“. თურმე რუსუდანის ოჯახის წევრებს ბრიგადირობის დიდი ხნის სტაჟი აქვთ... მისი მეუღლე, გიორგი წლების მანძილზე თავკაცობდა მევენახეთა ბრიგადას და ხშირად პირველთა შორის იყო. ახლა პენსიაზეა, „ასპარეზი“ მეუღლეს გადაულოცა.

— რუსუდანი ჩინებულად აგრძელებს ოჯახურ ტრადიციას, — ღიმილით ამბობს არჩილი, — ბრიგადაში ჰექტარობრივი მოსავლიანობა 85-90 ცენტნერს აღწევს. გაითვალისწინეთ, ეს ადგილები ურწყავია, თანაც მაისში, ივნისსა და ივლისში სეტყვამ გაგვკრა მხარი. ეს რომ არა, რთველი კიდევ უფრო ბარაქიანი გვექნებოდა...

ახლა ეთერ შუხოშვილის ბრიგადასაც ვეწვიოთ, ვნახოთ, როგორ ირჯებიან მერთველეები. აქაც საოცრად ყოჩაღი ხალხი ჰყავთ. აი, თუნდაც „ყურძნის კრეფის ჩემპიონი“ ქრისტინე ბასილაშვილი, ბრიგადირის მარჯვენა ხელი ელიკო კასპიშვილი, რომელიც შესვენებისთვისაც ვერ იცლის. ფატი იორამაშვილისა და ეთერ ირემაშვილის მოსწრებული ხუმრობა ხომ ყველას ახალისებს და დაღლილობას ავიწყებს...



ბიძინა პაპუნაშვილი



ელიკო კოლოტაშვილი



მოსავალს კარგი პირი უჩანს...

დ. იაკობაშვილის ფოტოები

— ერთი კარგი სიახლე ახლავს წლევანდელ რთველს, — ამბობს ეთერი, — მკრეფავი მანამდე არ შევიდა ზვარში, სანამ ყურძენის შაქრიანობამ საბაზისოს არ მიაღწია. ცნობილია, რომ წინა წლებში რთვლის დაწყებისას შაქრიანობა 13-14 პროცენტს ძლივს აღწევდა ხოლმე. გამართლება ასეთი იყო: რთველი ადრე რომ არ დავიწყოთ, ყურძენი წონას დაკარგავს, ვიზარალებთო. კი, ბატონო, ტონებს კი ვახვავებდით, მაგრამ მცირე შაქრიანობის გამო ანაზღაურებაც მცირე იყო: კილოგრამში 37-39 კაპიკს გვიხდიდნენ. ახლა 15-20 კაპიკით მეტს ვიღებთ, რადგან ხარისხიან ყურძენს ვაბარებთ. გამოდის, რომ რთვლის ადრე დაწყებით კი არ ვიგებდით, — ვზარალობდით. მერე, ღვინოს არ იკითხავთ? ისე გაუარესდა მისი ხარისხი, სოფელში ხუმრობდნენ ხოლმე, ჩვენი მეღვინეები თავიანთ დაყენებულ ღვინოს არ სვამენო!

ვიცინით, მაგრამ ვაი ამ სიცილს!

როცა იმ დღით ნაჯაფარმა მევენახეებმა სახლებს მიაშურეს, ამ საკითხზე საუბარი კოლმეურნეობის კანტორაში გვიანობამდე გაგრძელდა. ტრადიციულად, საღამოს ყველა ბრიგადირი აქ იყრის თავს და თავმჯდომარეს — კობა გელაძეს ანგარიშს აბარებს. რუსუდანი და ეთერიც ხელდამშვენებულნი მოვიდნენ. ორივეს ბრიგადამ იმ დღეს 20 ტონაზე მეტი ყურძენი გაგზავნა მარანში. რუსუდანის ბრიგადამ 285 ტონა ყურძენი მოკრიფა, ეთერისამ — 252. თავმჯდომარე კმაყოფილია — კოლმეურნეობა უკვე მიუახლოვდა ყურძნის წარმოების დასახულ გეგმას — მოკრეფილია 6.528 ტონა ქარვისფერი ნაყოფი. გეგმა გადაჭარბებით შესრულდება!

ჰო, ზემოთ ყურძნის ხარისხი ვახსენეთ. ვიღაცამ აგვისტოს „იზვესტიაში" გამოქვეყნებული წერილი „ბედი ვაზისა" გაიხსენა; ავტორს ბევრი საგულისხმო დასკვნა გამოაქვს და ჩვენ მოვალე ვართ, გავითვალისწინოთო.

— მარტო იმის წყალობით, რომ რთველი მართლაც თავის დროზე დავიწყეთ და მწიფე ყურძენს ვკრეფთ, სხვა წლებთან შედარებით კოლმეურნეობის სალარო 55-60 ათასი მანეთით მეტ შემოსავალს მიიღებს, — გვითხრა კობა გელაძემ. მერედა, ხარისხიანი ყურძენი მარტო ხარისხიანი ღვინო როდია. წვენი და ბაქმაზი, ჩურჩხელა და თათარა, ტკბილისკვერი და სამედიკამენტო საშუალებები, სასურსათო ზეთი და ძმარი, მარმელადი და მურაბა... მართლაც პროდუქტების საწყობია; ეს დალოცვილი!

დაღამებული იყო, კანტორიდან რომ გამოვედით. შილდას ამ შემოდგომასავით სავსე მთვარე დასჩახჩახებდა. ისევ გაუთავებლად მღეროდნენ ჭრიჭინობელები. სოფელი ნელა იძირებოდა სიმყუდროვეში, რათა ხვალ განახლებული ძალით შეგებებოდა განთიადს.

ელგუჯა ლეგანიძე,

ყვარლის რაიონი.

# ტემპი მატულობს...

**დიდი დაძაბულობა იყო წლეულს მეჩაიეობის რაიონებში. ყველას, დიდსა თუ პატარას, პირზე გეგმა ეკერა. დიახ, ჩაის გეგმის შესრულებას საფრთხე ელოდა, თუ უამინდობას, სხვადასხვა სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებს არ დაუპირისპირდებოდა მშრომელი ხალხის არნახული ენთუზიაზმი.**

**ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა აგვისტოს მიწურულს მოინახულა გეგეჭკორის რაიონი, ესაუბრა რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს, მეჩაიეებს და იმედის მომცემი შთაბეჭდილებები ჩამოიტანა — გეგეჭკორელები ყველა ღონეს ხმარობდნენ გეგმის უთუო შესრულებისათვის, 27 400 ტონა ჩაის ჩაბარებისათვის.**

**ოქტომბრის თვეში გეგეჭკორელებს 24 284 ტონა ჩაის ფოთოლი ჰქონდათ მოკრეფილი და წლიური გეგმის შესრულებას 7 ნოემბრისათვის ვარაუდობდნენ.**

საუბარი საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველ მდივანთან **ირაკლი მოწერელიასთან.**



**— რატომ ჩამორჩა თქვენი რაიონი ჩაის გეგმის შესრულებაში?**

— ცუდმა ამინდმა პირველი ვეგეტაცია შეაფერხა, აციების გამო დუყების გაუხეშებამ მექანიზმების გამოყენება შეუძლებელი გახადა.

**— შარშანდელთან შედარებით რა მაჩვენებლებია 25 აგვისტოსათვის?**

— პირველი ვეგეტაციის შეფერხების გამო შარშანდელთან შედარებით მაის-ივნისში 3.791 ტონით ჩამოვრჩით. მაგრამ დაძაბული შრომით ივლისში 6415 ტონა ფოთოლი მოიკრიფა, რაც შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდს 1828 ტონით აღემატება. სამწუხაროდ, გვალვამ საშუალება არ მოგვცა შეგვენარჩუნებინა ტემპი.

სეზონის დაწყებიდან აგვისტოს ბოლომდე მოკრეფილია 16.082 ტონა ჩაის ფოთოლი ანუ წლიური გეგმის 58,7 პროცენტი, ნაზი ფრაქცია 47,6 პროცენტს აღწევს.

**— როგორ აპირებთ ჩამორჩენის დაძლევას?**

— ამისათვის რაიონში მობილიზებულია მთელი შრომითი რესურსები. ადგილებზე მიმაგრებული არიან ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები, იდეოლოგიური აქტივი. მეჩაიეებს აქტიურად ეხმარებიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და საშუალო სკოლის მოსწავლეები, დაწესებულებათა მუშაკები. ჩაის პლანტაციებში მთლიანად შეტანილია მინერალური სასუქები, ჩაისათვის ხელსაყრელი ამინდი დაგვიდგა, ამჟამად ნედლეული უხვად შემოდის, კრეფის ტემპი ყოველდღიურად მატულობს. სექტემბერში მოსალოდნელია 5.600 ტონა ფოთლის დამზადება, ოქტომბერში — 4.600 ტონისა, რაც წლიური გეგმის შესრულების გარანტია იქნება.

საუბარი გეგეჭკორის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარესთან **რობინ უბილავასთან.**



**— როგორ დამუშავდა წლეულს ჩაის პლანტაციები? სად იყო გარღვევები? რას დააკლეს ხელი მეჩაიეებმა?**

— რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ჩაის პლანტაციას 3414 ჰექტარი უჭირავს, აქედან მოსავლიანი 2993 ჰექტარია.

წლეულს ჩაის სეზონს რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები და პირველადი ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკები მომზადებულები შეხვდნენ.

1986 წლის სეზონისათვის მზადება ფაქტიურად შარშან დაიწყო. გამოცხადდა ჩაის პლანტაციებში საზამთრო დამუშავების ოთხთვიური, რომლის შესაბამისადაც აგროწესების სრული დაცვით შეიტანეს მინერალური სასუქები, გამობარეს; შესრულდა მძიმე და ნახევარმძიმე გასხვლის სამუშაო, გაიწმინდა სადრენაჟო ქსელი, მოეწყო ახალი ქსელი, შეკეთდა საპლანტაციო გზები და ელექტროქსელი, დაიწყო ახალი ფარდულების მშენებლობა და არსებულის რემონტი. მინდვრის სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობდა ჩაის ფაბრიკების სეზონისათვის მზადება.

საზამთრო და საგაზაფხულო სამუშაოები ძირითადად აგროვადებში და ტექნოლოგიის დაცვით ჩატარდა, მაგრამ ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში ოპერაციები უხარისხოდ და ვადების დარღვევით შესრულდა, მაგალითად, ლეხაინდრაოს კოლმეურნეობა „საქართველოში“, სალხინოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში და ვედი-

დკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ამან გარკვეულწილად საგეგმო დავალებათა შესრულებაზეც იმოქმედა. აღნიშნული მეურნეობები საერთო რაიონულ მაჩვენებლებს 5-15 პროცენტით ჩამორჩნენ. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ 27 აგვისტოსათვის რაიონში სულ 16100 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოიკრიფა, რაც წლიური გეგმის 58,6 პროცენტია და გასული წლის შესაბამის პერიოდს 3500 ტონით ჩამორჩება. დამზადებულ მასაში სინაზის მახასიათებელი 47,5 პროცენტს შეადგენს.

**— როგორ არის მოწესრიგებული მანქანებით და ხელით კრეფა, რას აკეთებენ იმისათვის, რომ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ჩაის ფოთოლი მოიკრიფოს?**

— რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების 1500 ჰექტარ პლანტაციაში ჩაი მექანიზმების გამოყენებით იკრიფება. წლეულს 10.100 ტონა ნედლეული ანუ საერთო რაოდენობის 37 პროცენტი უნდა მოიკრიფოს. ამ დავალების შესრულებას 50 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" და 1333 ხელით საკრეფი აპარატი ემსახურება. მეჩაიეობაში შექმნილია და მოქმედებს 292 უგანრიგო რგოლი, ისინი წარმატებით ასრულებენ გეგმა-ვალდებულებას. ცნობილია, რომ წლევანდელმა ცივმა გაზაფხულმა გადააყრუა დუყები, მექანიზაციის გამოყენება შეუძლებელი გახდა და, ამიტომ სპეციალისტების რჩევით, როგორც გამონაკლისი, გადავედით ხელით კრეფაზე.

ჩაის ნედლეულის მიღება მკრეფავებისაგან და მისი გადამამუშავებელ საწარმოებში ჩაბარება ჩაის ფოთლის მიღებისა და გადამუშავების ახალი ტექნიკური პირობების ზუსტი დაცვით ხორციელდება. ნედლეულის კრეფის, ტრანსპორტირების, ჩაბარებისა და გადამუშავების სწორი ორგანიზაციის მიზნით ჩაის მწარმოებელ მეურნეობებში და აგროსამრეწველო გაერთიანებაში შექმნილია ოპერატიული შტაბები. აგროსამრეწველო გაერთიანებასთან მუშაობს ნედლეულის მიმღები კომისია, ნედლეულის მიღებას ჩაის ფაბრიკებში ესწრებიან საზოგადოებრივ მეურნეობათა წარმომადგენლები.

გაერთიანების სპეციალისტები ახორციელებენ სათანადო კონტროლს ჩაის ფაბრიკებში ნედლეულის მიღებასა და მისი გადამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვაზე. ასევე, კონტროლი ეწევა ასორტიმენტის მიხედვით სასაქონლო პროდუქციის გამოშვების რეალიზაციისა და განრიგების მიხედვით პროდუქციის გადატვირთვის მიმდინარეობას. აღსანიშნავია, რომ გადატვირთულ პროდუქციაზე წლეულს პრეტენზია არ მიგვიღია. პირიქით, ქალაქების — უფის, ირკუტსკის, სამარყანდის გადამწონი ფაბრიკებიდან მიღებულია მადლობის წერილები.

**— როგორია მეჩაიეთა შრომის პირობები?**

— მეჩაიეთა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის გარკვეული მუშაობაა გაწეული. მეჩაიეები უზრუნველყოფილი არიან სპეცტანსაცმლით, ტრანსპორტით, მათ ემსახურება 16 ავტობუსი, მუშების გადასაყვანი საგანგებო ავტომანქანები, მათი ბავშვებისათვის გახსნილია 58 ბაგა-ბაღი 1624 ადგილით. ნორჩების მოვლას ყოველწლიურად 780 ათას მანეთს ვახმართ. ჩაის პლანტაციებში მოწყობილია საველე სასადილოები, რაიკოოპკავშირის გამგეობის მეშვეობით ავტოდუქნებს მეჩაიეებისათვის მიაქვს კვების პროდუქტები, მინერალური წყლები, ყოველდღიური მოთხოვნილების საქონელი. რაიდამასკომის კულტურის განყოფილება უშუალოდ ჩაის პლანტაციებში აწყობს თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების გამოსვლებს.

* * * *

**საუბარი გეგეჭკორის რაიონის სოფელ გაჭედილის ავანგარდის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიესთან ლუდიკო ბართიასთან.**



**— ქალბატონო ლუდიკო! თქვენ არამც თუ გეგეჭკორის რაიონის, არამედ მთელი საქართველოს სახიქადულო ქალი ბრძანდებით. გეგეჭკორში ბევრს ყვებიან თქვენს კარგ ქალობაზე. გვაინტერესებს, რით მოიპოვეთ ასეთი ავტორიტეტი და როგორ გახდით საქართველოს სსრ 1985 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი?**

— ჩვენს ქვეყანაში ყველა პროფესია ერთნაირად საპატიოა, ეს იმიტომ, რომ პროფესიას პიროვნება უქმნის ავტორიტეტს.

შრომის სიყვარული დედამ ჩამინერგა, 12 წლის გოგონა მას მხარში ვედექი და ჩაის კრეფაში ვეჯიბრებოდი. ჩაის სურნელს თურმე შეჩვევა სცოდნია. 16 წლისას პლანტაციის ორი მეათედი მომიზომეს. დღეში 30-40 კილოგრამ მწვანე ოქროს ვკრეფდი, რაც მაშინ სარეკორდო იყო. მერე თანდათან უფრო გავიწაფე ხელი, ახლა ყოველდღიურად 200-250 კგ. ჩაის ფოთოლს ვაბარებ სახელმწიფოს: პარტიამ დააფასა ჩემი შრომა — 1971 წელს „საპატიო ნიშნის" ორდენით დამაჯილდოვა, 1973 წელს — შრომის წითელი დროშის ორდენით. 1976 წელს — ლენინის ორდენით. რამდენი სიგელი და მედალი მაქვს, ალბათ ჩამოთვლა გამიჭირდება. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის შემდეგ შრომა მეხალისება, ხანდისხან ჩაის დუყი ზღვასავით წამოვა ხოლმე. თუ იგი დროზე არ მოკრიფე, გაუხეშდება და ხარისხს კარგავს. ამიტომ პლანტაციაში ელექტროშუქი გავიყვანეთ. ხშირად მე, ჩემი მეუღლე ვალიკო ბართია და რძალი მიმოზა შუაღამემდე ვკრეფთ მწვანე ფოთოლს.

შარშან ჩემს ოჯახურ რგოლს გეგმით 18 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფა. მოვკრიფეთ 22 ტონა. პრემიის სახით სამი ათას ხუთასი მანეთი მომცეს და დიდი ჯილდო, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მარგუნეს.

**— რა მდგომარეობაა დღეს თქვენს კოლმეურნეობაში?**

მართალია, მაისსა და ივნისში უამინდობა ძალზე გვიშლიდა ხელს, მაგრამ საერთო მდგომარეობა კოლმეურნეობაში ცუდი არ არის. გამრჯე ქალებმა 25 აგვისტოსათვის ოთხასი ტონა პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი ჩააბარეს სახელმწიფოს. თუ ამინდმა ხელი შეგვიწყო, გეგმით გათვალისწინებულ 685 ტონას კიდეც გადავაჭარბებთ.

**— თქვენ პირადად როგორი მდგომარეობა გაქვთ, როგორ აპირებთ გეგმის შესრულებას?**

— ვთქვი და ახლაც ვიმეორებ — შრომა მეხალისება, შრომის გარეშე ერთი დღეც არ შემიძლია სიცოცხლე, მაისსა და ივნისში, კოკისპირულ წვიმაში მე და ჩემი ოჯახი დილიდან საღამომდე ვიდექით პლანტაციაში და სათუთად ვაგროვებდით ოდნავ ამოწვერილ დუყებს. წელსაც 18 ტონა ჩაის ფოთლის ჩაბარება ვივალდებულეთ. 25 აგვისტოსათვის 15 ტონა მწვანე ოქრო მოვკრიფეთ. ახლა დუყები მოძალდა. ხან მთვარის, ხან ელექტრონის შუქზე გვიანობამდე ვკრეფთ ჩაის ფოთოლს. თუ ამინდმა გვაცალა, ჩემი ოჯახური რგოლი ოც ტონა ჩაისაც მოკრეფს და ხარისხსაც არ უღალატებს.

ესაუბრა ოლია რევია

## 225 წლის იუბილარი

# ქალაქი სკოლით იწყება



ა. გოგოლაძის ფოტო

დირექტორი დარია ბოჭორიძე გაკვეთილზე

ძველთაძველია ალაყაფი, ქონგურებიანი, ჩუქურთმათაღებიანი, გულქანდასავით აბნევია ჭიშკარს. თელავის №1 საშუალო სკოლა 225 წლისაა. საქართველოში კი არა, მის მიღმაც ბევრი სასწავლებელი ვერ დაიქადის ამ ასაკს. ჩვენ მისი სტუმრები ვართ. ალაყაფთან მოხუცი ხის ჯორკოზე ზის და წელგამართული დარაჯობს იქაურობას. ეზოში მანქანით შესვლას ვითხოვთ.

— მობრძანდით, მაგრამ არ იქნება, შვილო, აქ მანქანით შემოსვლა, არ იქნება, წმინდა ადგილია, ეზოში ბალღები არიან!

წმინდა ადგილი!

სკოლაზე წმინდა არაფერი ეგულება მიხა პაპას და ვინ შებედავს გადაათქმევინოს!

„ეზოში ბალღები არიან“, შესვენებაა, დიდი შესვენება, ზოგი ბურთით ერთობა, ზოგი დამალობანას თამაშობს ბებერ ჭადრებსა და კაკლებში, ტირიფებსა და ძველთაძველ მუხებში, ზოგიც გაფაციცებით ჩაკირკიტებს გადაშლილ წიგნს, გაკვეთილს იმეორებს ალბათ. მართლაც რომ არ იქნებოდა აქ მანქანით შემოსვლა!

225 წლის სკოლა ორსართულიანია, არაპომპეზური (საოცრად ჰგავს თბილისის ხელოვნების მუზეუმს). ამდენი მემორიალური დაფა არც ერთ ნაგებობაზე არ მინახავს; სტუმარი ადვილი შესამჩნევია, მაგრამ არავინ გვეგებება. მერე მივხვდი რატომ — გვაცალეს სკოლის შემოვლა და მემორიალური დაფების კითხვა;

თელავის ხშირ სტუმარს, კიდით-კიდე მოვლილს, საოცრად შემრცხვა, რომ ქალაქის გაცნობა თურმე სკოლიდან უნდა დამეწყო და უნდა მცოდნოდა, რომ 1782 წელს აქ დაარსდა სასულიერო სემინარია, რომლის პირველი რექტორი იყო მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე „გაიოზი“, 1790-1801 წლებში სემინარიას რექტორობდა მწერალი და კალიგრაფი დავით ალექსი-მესხიშვილი; აქ მიიღო განათლება მე-18 საუკუნის სახელმწიფო მოღვაწემ სოლომონ ლიონიძემ; მე-18 საუკუნის ბოლოს აქ სწავლობდა პირველი ქართველი აკადემიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონი; თელავის საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლას რექტორობდა ფილიპე ყაითმაზაშვილი; აქ სწავლობდნენ: უდიდესი ფიზიოლოგი ივანე ბერიტაშვილი, კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი, რეჟისორი სანდრო ახმეტელი, პოეტი იროდიონ ევდოშვილი, პედაგოგი და პუბლიცისტი ნიკოლოზ მთვარელიშვილი, მწერლები: ვასილ ბარნოვი, თურდოსპირელი და ვაჟა-ფშაველა.

თელავის პირველი საშუალო სკოლა ქართული კულტურის უძველესი კერა გახლავთ საქართველოში, სასწავლო-სააღმზრდელო ტაძარი, სასკოლო განვითარების ერთ-ერთი ფუძისჩამდგმელი, მისი საწყისი ანკარა წყარო ერეკლე მეორეს მიერ 1758 წლის 26 ოქტომბერს სასახლეში გახსნილი ფილოსოფიური სკოლა იყო და მისივე ბაზაზე 1782 წელს ზეიმით გაიხსნა სემინარია. ქართველთა სწავლა-განათლების აღზევებაზე მეტყველებს პირველი რექტორის — გაიოზის დიდებული სიტყვა, ქართული მჭევრმეტყველების ნათელი სარკე: „ქართველებს სასწავლებელნი ძველთაგანვე გვაქვნდა, გვაქვნდა ყველა ხარისხის სასწავლებელნი. ქართული სასწავლებელნი ზრდიდნენ წარჩინებულ პირთ, უმაღლესად აჯილდოვებდნენ ქართველთა შვილების გონებას, ხოლო ასეთი კი არ გვაქვნდა, ეს პირველი მაგალითი გახლავსთ“. ასე დიდი და საინტერესო ისტორიის მქონეა თელავის პირველი საშუალო სკოლა, მაგრამ როგორია იგი დღეს, ვინ მოძღვრობს და ვინაა დასამოძღვრი.

უცხო თვალი ადვილად შეამჩნევს რა საოცარი რიდი იგრძნობა სკოლისადმი. ეზოში მოჟრიამულენი თუ დერეფანში ახმაურებული მოსწავლეები გატყვევებენ ზომიერი ქცევით, დისციპლინით, უფროსებისადმი მორიდებით, თავაზით. არავინ უხეშობს, სკოლის კონტიგენტი მცირეა, ძალზე მცირე, სახელიანი სკოლის კვალობაზე. არადა, კახეთში ვერ მოძებნით მშობელს, რომლის სურვილი არ იყოს შვილი აქ აღიზარდოს. 556 ბავშვი სწავლობს აქ, შენობა კი მხოლოდ 450 ითვალისწინებს. 20 კლასს 42 მასწავლებელი უძღვება. ამ შესანიშნავ სკოლას, სათავეში დიდებული მანდილოსანი, თელაველთათვის დიდად საყვარელი და გასაკვირად ახლობელი ქალი — დარია ბოჭორიძე უდგას. ხალხი ბრძენია, საოცარი გუმანის მქონე და უბრალოდ ვერავის შეიყვარებს, პატივს ვერ მიაგებს არაღირსეულს, არც ასე არ იტყოდნენ თელაველები პირველ სკოლასა და მის დირექტორზე „დარია და შვილნი მისნიო“, რომლის ავტორია დარიას ყოფილი მოსწავლე და მასზე მლოცველი ყარამან მეთოდიშვილი.

— მე მასწავლებლად დავიბადე! — ამბობს ჭაღაროსანი, ამაგდარი მოღვაწე ქალი, პარტიის თელავის რაიკომის ყოფილი მდივანი. იგი ქალაქის განათლების განყოფილებასაც ედგა სათავეში და ბევრი სასიკეთო წამოწყების თაოსანი გახლდათ.

— მასწავლებლობას დიდი ნიჭი და უნარი სჭირდება! — ბრძანებს ქალბატონი დარია და როცა ახალგაზრდა პედაგოგის შემომატების წამი დგება, უტყუარია მისი გუმანი, ასჯერ გაზომავს და ერთხელ გადასჭრის. თუ მასწავლებელს ბავშვის სიყვარულით ანთებული გული არა აქვს, თუ მას ფსიქოლოგიაში წვდომის უნარი არ გააჩნია, მაშინ ვერ უნდა შებედოს თელავის პირველი საშუალო სკოლის კარის შეღება — ამბობს ქალბატონი დარია ბოჭორიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი. უყვართ ქალბატონი დარია მისი სიმკაცრისა და სიკეთისათვის, მომთხოვნელობისა და დამთმობლობისათვის, დამნაშავის დაუნდობლობისა და

შეცდომის პატიებისათვის, სულგრძელობისა და პირდაპირობისათვის. 24 წელი ერთი და იგივე სკოლის დირექტორობა ყველაფრის მთქმელია. აფერუმ მის ქალობას!

სკოლის სახელიანობის წყარო მასწავლებელია. ამ სკოლის წარმატების მიზეზიც ეგ არის, მაღალნიჭიერი, შრომისმოყვარე საალმზრდელო კოლექტივი, სკოლას რომ რამდენიმე მეთოდისტი მასწავლებელი ჰყავს, რაღა გასაკვირია, ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების მაღალი დონე და სკოლისგარეშე მუშაობის შესაშური ორგანიზაცია. მისაბაძია მეთოდისტი პედაგოგების ნინო კუხნიაშვილის, რუსუდან ჩომახიძისა და ეკატერინე პახომოვას მუშაობა, ქართული ენის პედაგოგი ნ. კუხნიაშვილი და ინგლისური ენის პედაგოგი რ. ჩომახიძე საფუძვლიანად ასწავლიან თავიანთ საგნებს. ეკატერინე პახომოვა თელაველი უკრაინელია, აქ აღზრდილი, ეს მისი დიდი დამსახურებაა, რომ მოსწავლეები მშვენივრად ფლობენ რუსულ ენას, პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, გორკის, მაიაკოვსკის შემოქმედება მშობლიურივით ახლობელი და გასაგებია მათთვის. თელავის პირველი საშუალო სკოლის ბევრ კურსდამთავრებულს ეკატერინე მასწავლებლის სიყვარულით სწავლა უმაღლესში რუსულ ფილოლოგიურზე გაუგრძელებიათ. 49 წელია ამ სკოლაში მათემატიკას უძღვება ლუსია მატინოვა. მისი აღზრდილია ათობით მათემატიკოსი, კიბერნეტიკი, ეკონომისტი, ინჟინერი.

ზაირა პაატაშვილმა შეაყვარა ბავშვებს ისტორია; მთელი ცხოვრება გაჰყვებათ პატარებს პირველი კლასის ახალგაზრდა მასწავლებლების — ცარო პაპიაშვილისა და ნანული ბიძულაშვილის სიყვარული, მათგან ჩანერგილი დედაენის სურნელი და სიკეთე.

სკოლას ტრადიციასავით აქვს თითქოს რომ ბუდეს უბრუნდებიან აღზრდილები. ამ სკოლაში სწავლობდნენ დღევანდელი პედაგოგები ირა ბოჭორაძე, (რომელიც ახლა ბიოლოგიას ასწავლის) მუსიკის მასწავლებელი ნუგზარ მახათელაშვილი (ამ სკოლიდან რომ ხშირად ისმის ქართული ხალხური სიმღერების დიდებული მელოდიები, ეს ნუგზარ მასწავლებლის დამსახურებაა). ინგლისურ ენას ასწავლიან ამავე სკოლის ყოფილი მოსწავლეები, დღეს სანიმუშო პედაგოგები — თამარ სვიმონიშვილი, მარინე ჯავახიშვილი, ნინო მახათელაშვილი, ლია თუშიშვილი. პატარები განსაკუთრებით მეგობრობენ ანა ჩიკვაიძესთან. უზადოა მისი საალმზრდელო მუშაობა დაწყებით კლასებშიც ხოლო შინაარსიანი, ცხოვრებასთან მიახლოვებული, ესთეტიზმით გამორჩეული გაკვეთილები სამაგალითოა და თვალსაჩინო.

სკოლაში რვა კაბინეტია, რომელთაგან ყურადღებას იქცევს ლინგოფონის კაბინეტი უცხო ენის დასაუფლებლად. შეძენილია საბეჭდი მანქანები ინგლისური ალფაბეტით, რომელზეც საუცხოოდ ბეჭდავენ მოსწავლეები.

ყველაფერი მაღალ დონეზე, უმწიკვლო და უნაკლო როდია. სკოლას თავისი სატკივარიც აქვს და სასიხარულოც. გაუმჯობესდა შრომითი სწავლება, მაგრამ შენობა არ იძლევა გასაქანს სახელოსნოების გასამართად, სპორტული მოედნების მოსაწყობად; სკოლის მდიდარი ბიბლიოთეკა ერთი ციცქნა ოთახშია, მცირეა სააქტო დარბაზი იმ სახელიანი სკოლისათვის, რომელთანაც მუშაობს საქართველოში ერთადერთი სასკოლო დრამატულ-მუსიკალური თეატრი, რომლის წარმოდგენები არა მარტო თელაველთა, მთელი კახეთის ზონის ზეიმია ხოლმე და რომლებშიც მოსწავლეებთან ერთად ალმზრდელი პედაგოგები და თელაველი მსახიობებიც კი მონაწილეობენ. ამ საქმის თაოსნები არიან სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი დარეჯან ჭანკოტაძე, და — ინგლისური ენის წამყვანი სპეციალისტი რუსუდან ჩომახიძე. საქართველოს ტელევიზიამ აჩვენა კიდეც რუსუდანის მიერ ინგლისურად თარგმნილი დარეჯან ჭანკოტაძის პიესა „მეგობრობის“ ინსცენირება. დიდი რეზონანსი გამოიწვია ჭანკოტაძისავე პიესამ „და სიკეთისათვის შეიქმნა ადამიანი“, (რომელთა დადგმები რუსუდან ჩომახიძემ განახორციელა). პიესა მიეძღვნა ხსოვნის დღეს, ამ სკოლაში აღზრდილი პროფესორ ჯემალ ციციშვილის ხსოვნას. სპექტაკლში პედაგოგები რუსუდან ჩომახიძე, ზაირა პაატაშვილი, გულიკო ალავერდაშვილი, დალი ქევხიშვილი მონაწილეობდნენ, აქ წარმოჩნდა ამაღლებული სიყვარულისა და ერისადმი ერთგულების ძალა, რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობა. სპექტაკლში თელავის საზოგადოების წარმომადგენლებიც ჩაებნენ, კეთილი ნების ადამიანების სცენური სახეები შექმნეს ექიმებმა იათამზე შამანაურმა, კლარა კიკნაძემ, ნათელა ლაზარიაშვილმა, მსახიობებმა ელდინო ტუხაშვილმა, თეიმურაზ ხუნაშვილმა, კარლო ქართველიშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გიორგი მამუჩიშვილმა. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა პედაგოგმა თამილა თარალაშვილმა, პრემიერას ქართული ეკრანის მშვენება თამარ ციციშვილი ესწრებოდა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა სკოლის თეატრს, მის სიახლოვეს ქალაქის საზოგადოებასთან.

ქალაქი კი ამ სკოლით იწყება!

კირა კვეიძე

# წაუკითხეთ პატარებს

## ავად გახდა ბაჭია

ავად გახდა ბაჭია,
გრიპი შეხვდა უდაოდ,
ბებიამ თქვა: თბილი რძე
და წამლები უნდაო.
დატრიალდნენ კურდღლები,
უხმეს ექიმ მათესა
ყველას შეატყობინეს
მოკეთეს თუ ნათესავს.
ჩააწვინეს ლოგინში,
გაუკეთეს ნემსები,
ძალზე ზუსტად დაიცვეს
სამკურნალო წესები.
უჰ, უჰ, როგორ დავფეთდი,
გენაცვალოს ბიცოლა,
თავის მოვლა ზამთარში,
საკურდღლეთმა იცოდა.
უჰ, უჰ, მეც დამაფეთე,
გენაცვალოს მამიდა,
გარეთ აღარ გაგიშვებ
ცივ ზამთარში ხვალიდან!

მანანა ზაზიკაშვილი

## ადგა ბიჭი — ავთანდილი

უთენია,
სისხამ დილით —
ადგა ბიჭი — ავთანდილი,
გაეხარდა,
და ყოჩაღ ბიჭს —
რძე მიართვა ძროხამ — თბილი.
დატრიალდა მერე ქარი,
ჩამოუგდო მწიფე მსხალი.
გაიღვიძა ნიკამ გვიან,
მართლაც იყო უკვე გვიან —
აღარ შეხვდა რძე და მსხალი,
დარჩა ნიკა ხახა მშრალი!

ქეთევან მიქაძე

## როგორ მინდა

— ამ ჩვენს ფისოს აბა,
დააკვირდი კახა:
თვალებს როგორ ნაბავს,
ყველს რომ დაინახავს.
— ეგ რა არის, გუშინ
გამოუდგა წიწილს...
მერე ბებოს ყველი
ააწაპნა ცხვირწინ.
— რა ვქნა, დარიგება
სულ არ შველის თავხედს,
ახლაც სადღაც გახტა,
შენც ხომ დაინახე!
— კი, კი ალბათ თაგვი
შეამჩნია სადმე.
— არა, ძველებურად
დაერია ქათმებს.
როგორ მინდა მითხრან,
შენი კოხტა ფისო
სულ თაგუნებს იჭერს,
წუწკი არ არისო.

ამბროსი დოხნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისური წყლების ქება



წლევანდელმა ზაფხულმა თავისი მცხუნვარებით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თბილისელები ხშირხშირად ცდილობდნენ გამშრალი ყელის გაგრილებას. თითქოს მიუხვდნენო გულის წადილს, და სავაჭრო ორგანიზაციებმა ხელად გამართეს საჩრდილობელი ქოლგების ქვეშ ნაყინით, ნამცხვრებით და წვენებით ვაჭრობა.

ძალიან კარგი!

მაგრამ როგორი ხარისხისა იყო ზოგჯერ ეს ნაყინი და წვენი — ამაზე აქა-იქ დაცდენილი საყვედურებიც ადასტურებს: ნაყინში ყინულებია, არ გირჩევთ ალებას, მანდარინის წვენი კი უფრო წყლის გემოსიაო.

ასე და ამგვარად, იქნებ ზოგმა ხელი მოითბო და ზოგმა ყელი ვერ გაიგრილა, მაგრამ ჩვენ მკითხველთა მოთხოვნებს მივაყურადეთ და ბევრი რამ გვენიშნა: რატომ არ ჰყოფნით მალაზიებს იაფფასიანი, 10-15 კაპიკიანი და ნაკლებშაქრიანი ლიმონათები? დიაბეტით დაავადებულნი ხომ სულ მივიწყებულნი არიან, მათთვის სპეციალური ლიმონათის გამოშვება რატომღაც უჭირს ქარხანასო.

ისიც მოხდა, რომ ბევრმა თბილისელმა „ლიმონი“ და „ფორთოხალი“ „პიტნა“ და „ტარხუნა“ შეიძინა და შინ მიტანისას აჭრილი ლიმონათები შემორჩა ხელთ. რა ქნა? დააბრუნა, მაგრამ მალაზიის მესვეურებმა ეს „დანაშაული“ თავისად არ მიიჩნიეს და ქარხანას გადააბრალეს.

ლაღიძის წყლებთან — რუსთაველზე, ძველ თბილისსა და მუხიანში ხომ ტევა არ იყო. დედებს შვილებიანად ურიგოდ გასვლა უნდოდათ, მაგრამ იმდენად ბევრნი იყვნენ, რომ მათგან ცალკე რიგი შეიქმნებოდა. მოზრდილი ადამიანი კიდევ მოითმენდა ხალხმრავლობას, მაგრამ ბავშვები, რომლებსაც ოფლი ჩამოსდიოდათ (რუსთაველზე, წყლების დარბაზში არავითარი ვენტილაცია არ მუშაობდა) ძალაგამოლეულნი ტიროდნენ... რატომ არა გვაქვს ლაღიძის წყლები ყველა რაიონში? — იკითხეს ბავშვებიანმა ქალებმა, როცა ტელეფონით დაგვიკავშირდნენ.

ახლა „პეპსი კოლაზეც“ ბევრი ალაპარაკდა, მატონიზირებელია, მის ცივად დალევას, ნეტა რა სჯობს, მაგრამ ბავშვებს ნუ დავალევინებთ, ამბობენ, რაღაც ქიმიურ შემადგენლობას შეიცავსო.

ასე და ამგვარად, საკითხები ბევრი დაგროვდა და დიდუბეში საწარმოო გაერთიანება „თბილხილწყალს“ ვეწვიეთ. გენერალურმა დირექტორმა თამაზ ჯავახიშვილმა ყველა საკითხზე გულდასმით მოგვისმინა და განმარტება მოგვცა.

მაგრამ ჯერ თავად საწარმოზე მოგახსენებთ. იგი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მძლავრი ქარხანაა, რეკონსტრუქციის შემდეგ აქ ყოველდღიურად 250-300 ათასი ბოთლი ლიმონათი მზადდება. საამქროებში ხელით შრომა არსად არ არის, მექანიზაციას დაუპყრია ყველაფერი. ამან გააიოლა ქალის შრომა. ისინი აღარ ტოვებენ საწარმოს, 150-200 მანეთამდე ხელფასს იღებენ და ვერც, წარმოუდგენიათ, თუ ოდესმე აქაური ქალები მომქანცველ სამუშაოს ასრულებდნენ.

უალკოჰოლო სასმელების საწარმოო გაერთიანებაში შედის კლარა ცეტკინის ქუჩაზე მდებარე ლიმონათის ქარხანა, ძველი, დამსახურებული საწარმო, რომელსაც თავისი არსებობის წელთა სიმრავლითა და კარგი სახელით იცნობენ. გაერთიანებას ეკუთვნის აგრეთვე ლაღიძის წყლების მაღაზიები ძველ თბილისში, რუსთაველზე და მუხიანში. ჩვენს მკითხველებს უთუოდ გაუხარდებათ, როცა შეიტყობენ, რომ მალე თბილისის ყველა რაიონში იქნება მსგავსი სახაჭაპურეები ლაღიძის განუმეორებელი წყლებით. მაშინ გრძელი რიგები არც იმათ შეაწუხებთ, ვინც კი ჩვენს დედაქალაქში ჩამოვა და მოისურვებს იგემოს სახელგანთქმული წყლე-



სამქროს უფროსი ელიზბარ თოდაძე, ტექნოლოგი მარიკა მამალაძე და ქიმიკოსი მარინე რურუა.



ბოთლების სარეცხ მანქანასთან

დ. იაკობაშვილის ფოტოები

ბი და არც მაზპინძლებს. სწორედ ამ წყლე-ბისათვის ამზადებს სეროფებს ლიმონათის ძველი ქარხანა. 14 დასახელების სეროფი ერთმანეთზე უკეთესია და ზოგჯერ არჩევა-ნის მილებისას ჭოვნდებიან კიდეც ხილეუ-ლის წყლის მოყვარულნი.

გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა თამაზ ჯავახიშვილმა სამართლიანად მიიჩ-ნია თბილისელთა კრიტიკა იაფფასიანი, 10-15 კაპიკის ღირებულების ლიმონათების სიმცირის თაობაზე, ეს ფაქტი მან გეგმის შესრულებით გატაცებას მიაწერა და მდგო-მარეობის გამოსწორების იმედი მოგვცა.

ეს საწარმო ერთადერთია საბჭოთა კავში-რში, რომელიც სუფთა ხილის წვენებს და ნაყენებს იყენებს და ესენციებს არ ხმარობს. აქედან საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქალაქში იგზავნება ტარხუნის ნაყენი, დარი-ალის და ისინდის კომპონენტები.

რაც შეეხება მაღაზიებში აჭრილი ლიმო-ნათის არსებობას, ამის მიზეზად გენერა-ლურმა დირექტორმა სავაჭრო ობიექტებში სამაცივრო სისტემების უქონლობა დაასახე-ლა. თბილისური ლიმონათი კარგად ძლებს 10-12 გრადუს ტემპერატურაზე და 30 გრა-დუსიან სიცხეში, რა თქმა უნდა, ფუჭდება.

საუბარში სავსებით გაიფანტა ეჭვი, რომ „პეპსი კოლა“ მაწყენარია ბავშვებისათვის. არავითარი ქიმიური ნაერთი ამ გემრიელ სასმელში არ ურევია.

მალე თბილისელები უთუოდ მოიწონებენ მატონიზირებულ სასმელს „ლებარდეს“, რო-მელიც ჩაის ნედლეულით იქნება დამზადე-ბული. მომავალში ამ სასმელით საბჭოთა კავშირის ლიმონათის ქარხნებს მოამარაგე-ბენ და „ლებარდე“ ყველა ქალაქში გაიყი-დება.

ჩვენდათავად ერთი სურვილი შევთავაზეთ გაერთიანების მესვეურთ: ხუთკაპიკიანი ჩა-მოსასხმელი წყლების ნაცვლად (ზოგჯერ ხომ აკლია სეროფი ჩამოსასხმელ წყლებს!), განა კარგი არ იქნება, რომ თბილისის გასტრონომებში 0,33 ტევადობის ბოთ-ლებით იყიდებოდეს გაციებული „პიტნა“, „გულაბი“, „ლიმონი“, „ფეიხოა“ და ა. შ. შევ-ლენ წყლის სურვილის მოსაკლავად მაღა-ზიაში, გახსნიან პატარა ბოთლს, იქვე ბოთ-ლით მიირთმევენ ლიმონათს და ცარიელ ჭურჭელს შესაფერის ადგილას დატოვებენ, (ასეთი თვითმომსახურება კარგა ხანია შე-მოღებულია საზღვარგარეთ). ჩვენი სურვი-ლი მოეწონა პატივცემულ თამაზს და შესაძ-ლებლადაც მიაჩნია მისი განხორციელება, (თუ, რა თქმა უნდა, მხარდამჭერნი ეყოლე-ბა).

და ბოლოს, კვების მრეწველობის მუშა-კებს ვულოცავთ 19 ოქტომბერს, თავიანთ დღესასწაულს და კეთილ სურვილებთან ერ-თად ვთხოვთ: ყოველთვის ხარისხიანი ხი-ლის წყლები გამოუშვან, უფრო ხშირად რომ გვესმოდეს თბილისური წყლების ქება!

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვების საკეთილდღეოდ

აღზრდის საბჭოთა სისტემაში წახალისებას ბურჟუაზიული პედაგოგიკისაგან განსხვავებული მიზანი აქვს. ჩვენს ქვეყანაში წახალისება განიხილება არა როგორც პატიოსანი საქმისა და მართალი სიტყვისათვის წაქეზება, არამედ უფროსების მიერ ბავშვის კარგი ქცევის შეფასებაც. პატიოსანი და სამართლიანი ქცევისათვის ბავშვების წასახალისებლად არსებობს შექება, მოწონება, დაჯილდოება: „ყოჩაღ, ძალიან კარგად მოიქეცი"; „მე ვამაყობ შენით"; „შენი საქციელი ქების ღირსია"; „ძალიან გამახარე" და სხვა, მაგრამ უმნიშვნელო მიღწევისათვის, ქება-დიდებით არ უნდა შევამკოთ ბავშვი, თორემ მიეჩვევა და წახალისება ფასს დაკარგავს მის თვალში.

არის შემთხვევები, როცა მშობლები კარგი ნიშნებისთვის შვილებს ფულად ჯილდოს ან გარკვეულ საჩუქარს ჰპირდებიან, ბავშვები კი ფიქრობენ, რომ ეს მათ კი არ სჭირდებათ, არამედ — მშობლებს. გვხვდება შემთხვევები, ბავშვი მშობლებისაგან მალულად თამბაქოს რომ ეწევა და მამას სიგარეტებს ან მის შესაძენ ფულს პარავს. ზოგს ვაჟკაცობად მიაჩნია უბილეთოდ მგზავრობა ტრანსპორტში და კინოთეატრში შეპარვა. ხშირად ამ უპატიოსნო საქციელის და სიცრუის მიზეზია ის, რომ ბავშვებს არ ესმით, თუ რას ნიშნავს პატიოსნად და სამართლიანად მოქცევა. ბავშვს უნდა ავუხსნათ და ვასწავლოთ ამ ცნებების შინაარსი და გავუანალიზოთ ის მისთვის ნაცნობ ცხოვრებისეულ მაგალითებზე. ისეთი ფაქტებიც გვხვდება, როდესაც ბავშვს ესმის, როგორ უნდა მოიქცეს და მაინც უპატიოსნო საქციელს სჩადის. თუ ბავშვს არ უნდა პატიოსნად და სამართლიანად მოქცევა და შეგნებულად ცრუობს, ამ შემთხვევაში საჭიროა ბავშვის საკეთილდღეოდ ცოტა სიმკაცრე. მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ბავშვის მიერ განზრახ ჩადენილი არცერთი უპატიოსნო საქციელი არ უნდა დარჩეს პედაგოგიური ჩარევის გარეშე. ბავშვისადმი სიბრალულმა არ უნდა დაჩრდილოს მისი საძრახისი საქციელი. საბჭოთა პედაგოგიკა უარყოფს ისეთ დასჯას, რომელიც დაამცირებს და შელახავს ადამიანის ღირსებას, მაგრამ ზოგიერთი მშობელი არ უწევს ანგარიშს ბავშვების კომუნისტური აღზრდის ამ მოთხოვნას და უპატიოსნო საქციელის ჩამდენი ან მატყუარა ბავშვის მიმართ იყენებს შეურაცხმყოფელ მეთოდს — ბავშვს ასე მიმართავს: „ქურდბაცაცავ", „უსინდისო", „ცრუპენტელავ" და სხვა.

— ჩვენს ოჯახში, — გვიყვება ერთ-ერთი მშობელი, — ბავშვებს არასოდეს ესმით სიტყვები „მატყუარა" და „ქურდბაცაცა". მათთვის ყველაზე დიდი დასჯაა, როდესაც მამა მკაცრად შეხედავს და ეტყვის: „მე მრცხვენია შენს მაგიერ" და ლაპარაკს შეწყვეტს დამნაშავესთან. ზოგიერთ ოჯახში ამ დროს თავს გამოიდებენ დედები, ბებიები ან ბაბუები. ჩვენ არასოდეს არ ვაკეთებთ ამას, არ ვუშლით ერთმანეთს ხელს.

მართლაც, არის ოჯახები, სადაც დედები ზედმეტად ანებივრებენ ბავშვებს, ყოველნაირად იცავენ მათ მამის სამართლიანი საყვედურისაგან. ისინი ხშირად თავიანთ თავზე იღებენ ბავშვების დანაშაულს და ამით აფუჭებენ კიდევაც მათ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბავშვის დასჯა მხოლოდ ეჭვის საფუძველზე, უსაბუთოდ. ბავშვს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი უპატიოსნო ან ცრუ საქციელის ბუნებრივი და სამართლიანი შედეგი. ეს აიძულებს მას დაუფიქრდეს თავის საქციელს და თავი შეიკავოს ცუდი ქცევისაგან. როგორც კი შეამჩნევთ, რომ თქვენმა შვილმა არა თუ შეიგნო თავისი დანაშაული, არამედ შეცვალა კიდევაც თავისი ყოფაქცევა, საჭიროა აგრძნობინოთ, რომ თქვენ ამას ხედავთ და იწონებთ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაახსენოთ ბავშვებს მათი წინანდელი დანაშაული. ყველაფერი უნდა გააკეთოთ იმისთვის, რომ აღადგინოთ ბავშვისადმი ნდობა და მოეპყრათ იმგვარად, რომ მან ეს იგრძნოს.

ბავშვებში პატიოსნებისა და სამართლიანობის აღზრდა რთული საქმეა. ზოგჯერ ამ საქმეში გამოცდილ მშობლებსაც კი მოსდით შეცდომა.

ფსიქოლოგი გ. კრეტეცკი აღწერს ერთ ერთ შემთხვევას: „ოჯახში დაიკარგა ფული. ეჭვი მიიტანეს ვაჟიშვილზე — მეშვიდე კლასის მოსწავლეზე. სარწმუნო საბუთების უქონლობის მიუხედავად მამამ მაინც წაუყენა შვილს მძიმე ბრალდება... ბიჭი თავზარდაცემული იყო უსამართლობით. საღამოს ფული იპოვეს. თურმე უჯრის უკან გადავარდნილიყო. მამა ოჯახის ყველა წევრის თანდასწრებით მივიდა ვაჟთან და უთხრა: რა ვქნა შვილო, რაგინდ მძიმე უნდა იყოს ეს ჩემთვის, უნდა ვაღიარო, რომ მე სერიოზული შეცდომა მომივიდა, რის გამოც ძალიან შეწუხებული ვარ. არ მქონდა უფლება უსაბუთოდ მომეტანა ეჭვი შენზე, ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა მომესმინა შენთვის. მე მესმის, რომ მძიმე და დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მოგაყენე. მოდი, დავივიწყოთ ეს გაუგებრობა და დავრჩეთ მეგობრებად.

ბიჭს თვალები სიხარულით აენთო, მან ღრმად ამოისუნთქა და წარმოთქვა: „აი, ხომ ხედავ, მამა..." მამასა და შვილს შორის მშვიდობა აღსდგა. ბიჭი უფრო პატიოსანი და გულწრფელი გახდა.

ბავშვებისათვის პატიოსნებისა და სამართლიანობის გრძნობის ჩანერგვა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეა. ჩვენი ბავშვები ხომ კომუნისტური საზოგადოების მომავალი მშენებლები არიან. მათ კომუნიზმის ნათელი შენობა კიდეც უნდა ააგონ და კიდეც უნდა იცხოვრონ მასში.

პატიოსნება და სამართლიანობა უდიდესი ღირებულების თვისებებია, რომლებიც უბიძგებს საბჭოთა ადამიანებს უკეთესად იმუშაონ, ისწავლონ და იცხოვრონ სამშობლოს საკეთილდღეოდ. უამისოდ კი ძნელი იქნებოდა კომუნიზმის მშენებელი ადამიანების გამარჯვებისაკენ სწრაფვა.

ნათელა წოწონავა,

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაზიკაანთ რძალი

გორში, ოსტროვსკის 45-ში ცხოვრობს ოთხმოცდაცამეტი წლის თამარ რაზიკაშვილი, ვაჟა-ფშაველას უფროსი ვაჟიშვილის ლევანის მეუღლე.

1924 წლიდან ქალბატონი თამარი ცალუღლად ეზიდება ცხოვრების ჭაპანს, ეზიდება ისე, როგორც რაზიკაშვილების დიდებულ ოჯახიშვილობას ეკადრება. მეზობლებსა და ნათესავებში არ მოინახება დიდი თუ პატარა, ქალბატონი თამარის გულისა და გონიერების მადლი რომ არ სცხებოდეს.

მთაში სამი შვილის პატრონს, მარტოხელას გაუჭირდა და გორში მამისეულ კერას დაუბრუნდა. მას შემდეგ ქალიც თვითონ არის და კაციც — პირველი სტახანოველი, მეკონსერვე, დეპუტატი, ოჯახს გადაგებული დედა და დიდედა.

* * *

...ვაჟა-ფშაველას უფროსი ვაჟიშვილი ლევანი თედო ძიას ხშირი სტუმარი ყოფილა. სათავადაზნაურო გიმნაზია რომ დაუმთავრებია, სამსახურიც გორში დაუწყია, ბინად ბიძასთან დარჩენილა. სწორედ თედო რაზიკაშვილის ოჯახში, რთველში გაუცვნიათ ერთმანეთი ლევანსა და მშვენიერ თამარს.

„ეს ის დრო იყო, — ღიმილით იგონებს ქალბატონი თამარი, — ქალებს რომ გვაშინებდნენ, ახალგაზრდა კაცის ჩოხის კალთას არ შეეხოთ, თორემ დაფეხმძიმდებითო...

ერთხელ ლევანი მოვიდა ჩვენთან, ხშირად დაიარებოდა ჩემს ძმასთან, კარგი მეგობრები იყვნენ. ჩოხაზე ღილკილო ასწყვეტოდა. დედამ მითხრა, „დაუკერეო". ვუკერებდი, თან ვშიშობდი, ჩოხის კალთა არ შემეხებოდა... აი დედასა, რა დრო იყო..."

ლევან რაზიკაშვილს თამარი შეჰყვარებია და მისი მშობლებისათვის ქალის ხელი უთხოვია. თამარსაც გახარებია, მაგრამ არ დაუმჩნევია. ლევანს ქალი ისე დაუნიშნავს, ჩარგალში მამისთვის ვერ უცნობებია. ამის გამო თურმე ძალიან ერიდებოდა, და მამისთვის ბოდიშის წერილი მიუწერია: ...„უნდა შემინდო, მამი, ნიშნობა ვერ შეგატყობინე. ნუ მიწყენ. კარგი, ძალიან კარგი ქალია, კეთილი, სათნო, მშვენიერი, ზნემაღალი... ძალიან გონიერია, კარგი ოჯახის შვილი. დარწმუნებული ვარ, ყველას შეგიყვარდებათ. გარდა მაგისა, მეც მინდა ჩემი კუთხე მქონდეს..."

თამარის და ლევანის ქორწილში კი, 1915 წლის 14 მაისს, ვაჟა-ფშაველა გორში ჩამოსულა.

ქალბატონი თამარი იგონებს:

„პირველად ვაჟა-ფშაველა ჩვენს ქორწილში ვნახე. ბავშვივით მომეფერა. მკერდზე მიმიკრა. მერე კისერზე ეს (გვიჩვენებს) ოქროს საათიანი ყელსაბამი თავისი ხელით ჩამომკიდა. მე იმ წუთებში ისე ვიყავი სიხარულით გაბრუებული, ქორწილი რომ მქონდა, ვგონებ, დამავიწყდა კიდეც...

ჯვარი „სობოროში" (ასე ეძახდნენ მაშინ გორის საკრებულო კათედრალურ ტაძარს — ლ. ჭ.) დავიწერეთ. ვაჟა გვერდით მოგვყვებოდა. დიდი პოეტის პატივსაცემად ფეხქვეშ სულ ხალიჩა-ფარდაგი დაგვიფინეს და ვარდებს გვიპნევდნენ. ასე მივედით „სობორომდე". მღვდელმა ჯვარი დაგვწერა, ვაჟამ დაგვლოცა... ხალხი თურმე იძახდა, ვაჟასაგან დალოცვილებს ჯვრისწერა რაღად უნდოდათო...

ქორწილის შემდეგ სამახსოვრო სურათი გადავიღეთ. მამამთილი შუაში ჩაგვიჯდა. ვაჟა ჩემგან ცოტა შებრუნებული ზის. ავადმყოფი თვალის გამოჩენას მოერიდა. მომიბოდიშა კიდეც ამის გამო (დღემდე, რატომღაც ეს ფოტო ცნობილია წარწერით: „ვაჟა-ფშაველა გორელებს შორის" — ლ. ჭ.)

მეორედ ვაჟას მის იუბილეზე შევხვდი. ოპერის თეატრში მაშინ პირველად ვიყავი. სარკეებმა დამაბნია. ჩემსკენ მომავალმა ყმაწვილმა ქალ-ვაჟმა თვალი მომწყვიტა. მერე როგორ შემრცხვა, როცა დავინახე, რომ ვაჟი ლევანი ყოფილა. ამაზე მერე ხშირად ვხუმრობდით.

იუბილეზე ახალს მე აბა რას გეტყვით.. ზეიმი რომ დამთავრდა, ვაჟამ მოგვიკითხა.. თავის დაფნის გვირგვინს აბრეშუმის ლენტი შემოხსნა და ყელზე შემომახვია... რა ბედნიერი ვიყავი მაშინ..."

იმის შემდეგ ვაჟა-ფშაველა ავად გახდა. ლევანი ცოლთან გორში ცხოვრობდა და მსახურობდა. ზაფხულში ჩარგალში აპირებდნენ წასვლას.

...ვაჟა ავად გახდა. ლევანმა შინ ამბავი მოიტანა „მამაჩემს კვრინჩხის შეჭამადი მოუნატრებიაო". შუა ზაფხულში დატრიალებულან, როგორღაც კვრინჩხი უშოვიათ და რძალი მამამთილს ჰხლებია, თან მონატრებული კვრინჩხის შეჭამადიც მიურთმევია...

რომ შემხედა, გამიღიმა, ხელით მომეფერა და მითხრა: „ამბობენ, მალე ლუკა გაჩნდებაო, ჰა?"

27 ივლისს ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა...

მამის სურვილისამებრ, ლევანმა ვაჟს ლუკა დაარქვა...

ლევანი და თამარი ერთხანს გორში ცხოვრობდნენ. ლუკას ქეთევანი მოჰყვა...

მერე გორში დიდი მიწისძვრა მოხდა.

რაზიკაშვილები საცხოვრებლად ჩარგალში გადავიდნენ და მამისეული კერა გააჩაღეს. ლევან რაზიკაშვილი სოფლის კომისრად აირჩიეს (ეს მაშინ დაახლოებით რამდენიმე სოფლის საბჭოს თავმჯდომარეობას უდრიდა).

მესამე ქალიშვილი ეკატერინე (პეპელა) ჩარგალში დაბადებულა. „ჩემი პეპელა ჩარგალშია დაბადებული, დიდი პაპის საწოლზე გაჩნდა", — იგონებს დედა.

ჩარგალში ლევანი და მისი ჯალაბი ყველას გამორჩეულით ჰყვარებია.

„ისეთი მარდი იყო ჩემი ლევანი, — იგონებს თამარ რაზიკაშვილი, — ორ გაშლილ ნაბადზე ხტებოდა. ჩარგლელები ამბობდნენ. მე ჩემი თვალით კი არ მინახავს, მაგრამ აღმართში გაქცეული კურდღელი დაუჭერიაო".

მატრიარქატი კვლავ გრძელდება რაზიკაანთ კერაზე, ოსტროვსკის ქუჩაზე. თუმცა შვილებიც და შვილიშვილებიც კარგახანია შეჭაღარავდნენ, ქალბატონი თამარის უკითხავი წყალი არ დაიქცევა ოჯახში. ისიც ჩვეული სიდარბაისლით დაფუსფუსებს შინ, არ ისვენებს, რომ ფუტკარივით სიტკბო და სინათლე აგროვოს და არიგოს.

ახლა დიდედა თამარს კალთაში მეოთხე თაობა უზის და ვინ იცის მერამდენედ, თავიდან იწყებს ობოლი შვლის ნუკრის ამბავს..

თამარ რაზიკაშვილი ხუთი შვილიშვილის და თორმეტი შვილთაშვილის დიდედაა, მართლა დიდი დედა და საოცარი ქალი, საოცარი, თავისი კეთილშობილებით, სპეტაკად განვლილი ხანგრძლივი ცხოვრებით და იმ დიდებული უბრალოებით, რაზიკაშვილების ოჯახს რომ ეკადრება.

ლალი ჭანკოტაძე,
გორის გაზეთ „გამარჯვების" პასუხისმგებელი მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უჩვეულო გამოფენა

შარშან თბილისის მხატვრის სახლში უჩვეულო გამოფენა მოეწყო. ერთი წუთითაც არავინ შეეჭვებულა, რომ მოსკოველი მხატვრის თამარ სანჩესის ნაკეთობანი (კაბა, ქვედაწელი, ჟილეტი და სხვა) დაამშვენებს ყველა ქალს, მიმზიდველსა და მომხიბვლელს გახდის. მერწმუნეთ, მათი დემონსტრირება სწორედ მხატვრის სახლში უნდა მომხდარიყო და არა მოდების სახლში.

გამოყენებითი ხელოვნების ცნობილმა ოსტატმა მ. ფავორსკაია-შახოვსკაიამ ერთხელ თავისი შთაბეჭდილება გაგვიზიარა: ,,საოცარია თამარ სანჩესის მოდელები — არა, ეს ტანსაცმელი კი არა, მხატვრობისა და ქანდაკების ნაზავია". ამ ნათქვამს მართლაც დაეთანხმება კაცი. სანჩესი იყენებს იმ პლასტიკურსა და სივრცობრივ შესაძლებლობებს, მისი მოდელების თითოეულ ხაზში რომ გამოსჭვივის, ნაკუწებით შექმნილ დეკორის ხაზგასმაც სკულპტორის ტალანტს ავლენს. იგი ფერზე შეყვარებული ჭეშმარიტი მხატვარია, როდესაც იმავე ნაკუწებს კოლორიტულად უხამებს ერთურთს.

დაივლი საგამოფენო დარბაზს და ნათლად განჭვრეტავ, რომ მომხიბვლელად ქალური თამარი, არაჩვეულებრივად ვაჟკაცური ადამიანია. დიახ, ვაჟკაცურია, მტკიცე ნებისყოფიანი, თამამ რისკს შეჭიდებული, განებავთ ექსპერიმენტატორიც. ამან, ყველაფერმა, განახორციელა სანჩესის უჩვეულო ჩანაფიქრიც.

რაშია სანჩესის ნამუშევართა თავისებურება? კარგად დააკვირდით, და დარწმუნდებით — გამოფენაზე გამოტანილი ყოველი ფანტასტიკური სახილავი ადამიანის ხელით არის შექმნილი, შალის, ტილოსა და ჩითის იმ ჩვეულებრივი ქსოვილისაგან, ნებისმიერ მაღაზიაში რომ შეგვიძლია შევიძინოთ. ალბათ მოუღლელ ხელს შეუძლია ასეთი რამ: დამუშავებულ ნაჭრის ყოველ დეციმეტრზე ათნაირი ნაკერი მაინც იდება. წარმოიდგენთ განა, რარიგ ლივლივებს და აშუქებს ჩითის ნაჭრების მოზაიკა, როგორი კეთილშობილებით გამოირჩევა რუხი-მოვერცხლისფრო ტილო სელისა!

მხატვარი ქალი გონივრულად უხამებს ერთმანეთს ტრადიციულს (გლეხური კოსტიუმი) და თანამედროვე სწრაფწარმავალ მოდას. დღეს, რამდენადაც დიდია სურვილი ავცდეთ სტანდარტსა და უნიფორმიზმს სეზონური მოდის ფართო გამოყენებით, იმდენად უფრო მეტად ვაფასებთ თამარ სანჩესის მიერ შემოთავაზებულ ტანსაცმლის უნიკალურობას. სავსებით ბუნებრივია, რომ ფერის, ფაქტურისა და ქსოვილის მოჩითულობის გათვალისწინებით მხატვარი თითოეულ კომპლექტს თვით უმზადებს აქსესუარს (გრძელზონარიან, მოწნულსა თუ სადა ჩანთებს) და მრავალნაირ ,,ბიჟუტერიას". ზოგჯერ არც დაიჯერებ, რომ აქ იუველირის ხელი არ ურევია, არ დაიჯერებ, რომ ეს ყოველივე ქსოვილისგან არის გამოჭრილი და შეკერილი.

თამარ სანჩესმა ათი წლის განმავლობაში 30-ზე მეტ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა. ყოველი გამოფენილი ნაკეთობა მეტად შრომატევადია. ,,რამდენ საათს მუშაობთ დღეში?" — ჰკითხეს ერთხელ მხატვარს. ,,ჩვეულებრივად დილიდან საღამომდე". — ,,მაგრამ თუ არაჩვეულებრივია?" — ,,მაშინ მთელი დღე-ღამე" — თქვა თამარმა. ამგვარად მხოლოდ ფენომენალურად შრომისმოყვარე ადამიანი კი არ გაირჯება, არამედ თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება. ეს გატაცება ხომ მაღალ ხელოვნებამდეა აყვანილი, ხელოვნებამდე, რომელიც მსრბოლ თანამედროვეობაში თავისთავადობად რჩება!

**ნინა გეტაშვილი,**

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.









ეროვნული ბიბლიოთეკა









თამარ სანჩესის
ნამუშევრების ფერადი
სლაიდები

ეროვნული
ბიბლიოთეკა







...ნული ბიბლიოთეკა





დ. იაკობაშვილის ფოტო

# გურჯაანის „ყველა-წმინდა“

სოფელ გურჯაანის თავში, ტყით შემოსილი მთებით შემოფარგლულ ვაკე ადგილას, კახთუბნის ხევის პირას განმარტოებით დგას ყველაწმინდა ანუ „ღვთისშობლის მიძინება“. ამ ტაძარს ამშვენებს ადრინდელი პერიოდის ქართული არქიტექტურის ელემენტები. მისი ნალისებური კამარები, კედლებზე განლაგებული ორნამენტები და კიდევ სხვა დეტალები ნათლად მოწმობენ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციებს, რის გამოც ეს ნაგებობა VII-VIII საუკუნეებს მიეკუთვნება“ (შ. ამირანაშვილი „ქართული ხელოვნების ისტორია“, გამომცემლობა „ხელოვნება“ 1961 წ., გვ. 166).

გურჯაანის ყველაწმინდა თავისი ორიგინალობით გამოირჩევა კახეთის სხვა ძეგლებისაგან. მათგან განსხვავებით მას ორი მოკლეყელიანი წახნაგოვანი გუმბათი ადგას, რაც მნახველებს დიდ ინტერესს აღუძრავს. იგი ადგილმდებარეობის ხასიათითაც განსხვავდება. კულტურის ძეგლების უმრავლესობა მთაზე, გორაკზე ან ყველასათვის შესამჩნევ, გაშლილ ადგილზეა აშენებული, გურჯაანის ყველაწმინდა კი უღრანი ტყის სიღრმეში აუგიათ. თანაც ისეა შერწყმულ-შეხამებული ბუნებრივ გარემოს, ცის ფერებს თუ ტყით დაფარულ მთის ფერდობებს, რომ მხოლოდ მათთან ერთიანობაში აღიქმება.

სოფელ გურჯაანიდან ყველაწმინდამდე კარგა მოზრდილი ფერდობია ასასვლელი, რომელიც გადაჰყურებს თვალწარმტაც ალაზნის ველსა და ზაფხულის სიცხეშიც კი წვერებჩამოთოვლილი იისფერი კავკასიონის მთებს. წინათ ამ ფერდობიდან უღრან ტყეში შემავალი ვიწრო, ერთი ფეხის დადგმა ბილიკით გადიოდა ხალხი ეკლესიის ეზოში, სადაც გამეფებული უკაცრიელობა სიმყუდროვისა და იდუმალების შეგრძნებას ქმნიდა.

რატომ ააშენეს ყველაწმინდა ასე მოფარებულში? ამაზე ხუროთმოძღვრული წყაროები არაფერს გვეუბნება. ხალხში არსებობს მხოლოდ თქმულება, თითქოს ყველაწმინდა წინათ მკურნალი ყოფილა მეძუძური ქალებისა, რომლებსაც რძე სულ არ ედგათ, ანდა ისე ცოტა ჰქონდათ, რომ საკმარისი არ იყო ბავშვის გამოსაკვებად. ძუძუგამშრალ ქალს ყველაწმინდაში წაიყვანდნენ ხოლმე. ქალი ფეხით აივლიდა მაღალ ფერდობს, ეკლესიას სამჯერ შემოუვლიდა გარშემო, მერე შიგაც შევიდოდა და შიშველ მკერდს რამდენჯერმე მიადებდა ეკლესიის ცივ კედელს. ამის შემდეგ ქალს იქვე უმზადებდნენ ყუათიან საჭმელს და აძალებდნენ, რომ ეჭამა. ასეთ პროცედურებს ჩაუტარებდნენ სამჯერ ან შვიდჯერ, შეიძლება მეტჯერაც, და როგორც ძველი ხალხი ამბობს, ქალი ჯანსაღდებოდა, ხშირ შემთხვევაში რძე ემატებოდა.

ზოგს გონია, რომ ეს ყველაფერი აღმოცენებული იყო დღეისათვის უკვე შეუფერებელი რელიგიური ცრურწმენის ნიადაგზე, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით და მეცნიერულად ავხსნით, მაშინ ყველაფერი ნათელი გახდება: ზოგიერთ დაავადებას ახლაც ხომ მკურნალობენ ფეხით სიარულით და სუფთა ჰაერის აბაზანებით!

ვინ იცის, იმ რძეგამშრალ ქალებზეც ახდენდა გავლენას ფეხით სიარული, ეკლესიის ირგვლივ ჩამომდგარი მყუდროება, ჟანგბადით სავსე უღრანი ტყის ჰაერი და ფსიქოთერაპია.

დროთა ვითარებაში ყველაწმინდამ სახე იცვალა, დაირღვა მისი კომპოზიციური შერწყმა ბუნებრივ გარემოსთან, ზოგან შეთხელდა, ზოგან გაიჩეხა ტყე. ტაძრის ეზოში შესასვლელი ვიწრო, ეგზოტიკური ბილიკიც ფართო სამანქანე გზად გადაკეთდა, რამაც თითქმის გააშიშვლა ტაძარი.

ეკლესია კი, უნდა ითქვას, რომ რესტავრირებულია.

შეკეთებულია გუმბათები, აღდგენილია კედლის მოხატულობა. აღმოსავლეთ ფასადზე გაკრულია მემორიალი, დარაჯიც ჰყავს მიჩენილი სამეთვალყუროდ. ერთი სიტყვით ტურისტებისთვის არის პირობები, რომ დაათვალიერონ ეს უძველესი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მაგრამ, ვისაც წინათ ერთხელ მაინც უნახავს უღრანი ტყის იდუმალებაში შეყუჟული გურჯაანის ყველაწმინდა, ახლა შეცვლილი გარემო დახვდება. თუმცა აღდგენის იმედი არ დაგვიკარგავს, შესასვლელში გაჩეხილმა ხის ფესვებმა წლების შემდეგ, გზის ნაპირებზე ახალი ყლორტები ამოიყარა. კარგი იქნება, თუ ყლორტებს გაზრდის საშუალებას მივცემთ, ავტომანქანას კი გამოვუყოფთ გასაჩერებელ ადგილს, რომ ძველ ნაბილიკარზე და ეკლესიის კარების წინ აღარ იაროს.

არც ის არის ძნელი, შესასვლელში და სხვა გამეჩხერებულ ადგილას, შაბათობაზე, მოსწავლეების დახმარებით ყოველ გაზაფხულს თითო-ოროლა ნერგი ჩავუმატოთ. ამით ცოტათი მაინც დავუბრუნებთ ყველაწმინდის ადგილმდებარეობას თავის პირვანდელ სახეს, რითაც იგი, გარკვეულ დეტალებთან ერთად, მკვეთრად განსხვავდებოდა სხვა ქართული ძეგლებისაგან და ამავე დროს უფრო საინტერესოდ და თვალწარმტაცად გვესახებოდა.

ნინო ბეზარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ავამაღლოთ ქალთა საბჭოები შრომითს კოლექტივებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, გავაერთიანოთ ისინი ერთიან სისტემად საბჭოთა ქალების კომიტეტის მეთაურობით“.

სკკპ 27-ე ყრილობის მასალებიდან

# ავამაღლოთ ქალთა საბჭოების როლი

**ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მდივანს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს პრეზიდიუმთან არსებულ ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ზინაიდა ქვაჭაძეს და ესაუბრა გაწეულ მუშაობაზე.**



**— სკკპ 27-ე ყრილობის მასალების გათვალისწინებით როგორ გესმით ქალთა საბჭოების როლი?**

— ჩვენი რესპუბლიკის ბევრ საწარმოში, საწარმოო გაერთიანებებში, ორგანიზაციადაწესებულებებში, სადაც ქალთა საბჭოები არსებობს და თავის სიმაღლეზე დგას, უკვე ნათლად ჩანს, თუ რამდენი რამის გაკეთება შეიძლება ადგილებზე.

დღეს ეს შესაძლებლობები უფრო გაიზარდა, შრომითს კოლექტივებს უფლება-მოვალეობები გაუფართოვდათ, მათ დაეკისრათ თვითონ მოაწესრიგონ მუშაკთა შრომისა და ყოფის პირობები. ამ საკითხების გადაჭრაში დიდ როლს ასრულებენ ქალები. ხშირად მათს სითბოს, მათს გულისხმიერებას უფრო მეტი ძალა აქვს.

**— რა საქმიანობას ეწევა რესპუბლიკის ქალთა საბჭო კანონით გათვალისწინებული ქალთა შრომის შეღავათების განსახორციელებლად?**

— საქართველოს სსრ პროფსაბჭოს პრეზიდიუმთან არსებულ ქალთა საბჭოს ყურადღების ცენტრში ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების საკითხები ყოველთვის იდგა.

მთავარია დავიცვათ ყველა ნორმა და შეღავათი, რომელსაც საბჭოთა შრომითი კანონმდებლობა ითვალისწინებს, ვგულისხმობ ქალთა შრომის აკრძალვას მძიმე და განსაკუთრებით მავნე, აგრეთვე მიწისქვეშა სამუშაოებზე, ტვირთის აწევისა და სიმძიმეების გადაადგილების ზღვრული დატვირთვის დადგენილი ნორმების დაცვას, ღამის ცვლებში ქალთათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი რეჟიმის დადგენას, (ზოგჯერ შეზღუდვასაც კი), ქალთა შრომის გამოყენებას არასრული სამუშაო დღისა და არასრული სამუშაო კვირის დაწესებით. უფრო დიდი შეღავათები ენიჭებათ ჩვილბავშვიან დედებს.

**— რას ითვალისწინებს კოლექტიური ხელშეკრულებები და როგორია ქალთა საბჭოს როლი ამ საკითხში?**

— ქალთა საბჭო დიდ ყურადღებას უთმობს კოლექტიური ხელშეკრულებების დაცვას, რომლებიც ყოველწლიურად იდება საწარმოებში დირექციასა და პროფკავშირულ ორგანიზაციას შორის. ამ ხელშეკრულებებში სპეციალური განყოფილება ეთმობა ქალთა შრომითს პირობებს და მათთვის მინიჭებულ შეღავათებს. კოლექტიურ ხელშეკრულებაში აღინიშნება ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ვალდებულებები.

მნიშვნელოვანია ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესების, ტრავმატიზმისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაავადებების შემცირების, აგრეთვე სპეცტანსაცმლით უზრუნველყოფის საკითხები. ყოველივე ამას ითვალისწინებს შრომის პირობების გაუმჯობესების ხუთწლიანი გეგმები, რომლებიც ყველა დარგისა და საწარმოს მიხედვით არის შემუშავებული და დამტკიცებული. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გეგმები რესპუბლიკაში წარმატებით სრულდება. მაგალითად, მე-11 ხუთწლედში შრომის პირობები სანიტარული ნორმის მოთხოვნით არის გათვალისწინებული 138 ათასამდე ქალისათვის, მძიმე ფიზიკური შრომისაგან გათავისუფლდა 15787-მდე ქალი, ღამის ცვლაში მუშაობას მოარიდეს 4384 ქალი, მოეწყო ჰიგიენის ოთახი 2863 ქალისათვის. მიღწეულია ქალთა შორის საწარმოო ტრავმატიზმის მნიშვნელოვანი შემცირება.

18.537

**— რომელ საწარმოებშია ქალთა დასაქმება არასრული სამუშაო კვირითა და არასრული სამუშაო დღით?**

— რესპუბლიკაში განვითარდა მუშაობის პერსპექტიული ფორმა — ქალთა დასაქმება არასრული სამუშაო კვირითა და არასრული სამუშაო დღით. მივაღწიეთ გარკვეულ შედეგს — დავასაქმეთ დაახლოებით 12 ათასი ქალი. ამ მხრივ კარგი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ: რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანას, თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანებას, მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს.

**— რას გვეტყვით ქალთა საბჭოსა და ოჯახის ურთიერთობაზე?**

— ოჯახი მთავარ როლს ასრულებს მოზარდი თაობის აღზრდაში, მის ჩამოყალიბებაში. ამიტომ საბჭოს სხდომების ძირითადი საკითხია ოჯახი: ქალისა და ბავშვის დასვენება და გაჯანსაღება, დაოჯახებული სტუდენტების საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ქალთა გადაჩვევა თამბაქოს წევისაგან და ალკოჰოლის სმისაგან, ერთ წლამდე ასაკის ბავშვების კვების პროდუქტებით მომარაგება.

**—ქალთა ჰიგიენის ოთახებზე რას გვეტყვით?**

— ამ მხრივ ნამდვილად ჩამოვრჩებით. ხუთწლიანი კომპლექსური გეგმა ყოველწლიურად ითვალისწინებს დაახლოებით 700-800 ასეთი ოთახის მოწყობას, მაგრამ ეს გეგმა ვერ სრულდება, რადგან საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კომიტეტი მხოლოდ სანახევროდ აკმაყოფილებს მოთხოვნებს სპეციალურსანტექნიკურ მოწყობილობითა და საშუალებებით, რომლებიც ქალთა პირადი ჰიგიენის ოთახებში გამოიყენება.

**— რას გვეტყოდით ქალთა სპეცტანსაცმლის შესახებ?**

— 1983 წელს საქართველოს სსრ პროფსაბჭომ შეიმუშავა და დაამტკიცა მუშების სპეცტანსაცმლით უზრუნველყოფაში პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის პროგრამა.

დამატებითი დავალება მიეცათ საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, თბილისის შრომის დაცვის ინსტიტუტს, შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ინსტიტუტს, საფეიქრო მრეწველობის ინსტიტუტს, ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დააჩქარონ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა სპეცტანსაცმლის ახალი მოდელების შექმნისა და გამოშვების სამუშაოები. სამწუხაროდ, ეს საქმე ნელა მიმდინარეობს და, ალბათ, ჩვენი კომისიის ერთ-ერთ მომავალ სხდომაზე შევისწავლით და განვიხილავთ.

**— როგორც ცნობილია, კვლავ დიდია მომუშავე ქალებზე არახელსაყრელი საწარმოო ფაქტორების ზემოქმედება.**

— სამწუხაროდ, 13 ათასზე მეტი ქალი შრომობს სამრეწველო მტვერსა და მავნე აირების პირობებში ხე-ტყის მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო და სახელმწიფო აგროსამრეწველო საწარმოებში.

ნელა მიმდინარეობს ქალების ღამის ცვლებიდან გამონთავისუფლება საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, ამიერკავკასიის რკინიგზის, სახელმწიფო აგროსამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

სისტემატურად ირღვევა სიმძიმის ხელით აწევისა და გადაადგილების ნორმები საწარმოო გაერთიანება „ბორჯომში", ექსპორტის წარმოების ხაზზე და მზა პროდუქციით სარკინიგზო ვაგონების დატვირთვისას. იგივე მდგომარეობაა ხაშურის მინის ქარხანაში, ჩაისა და საკონსერვო მრეწველობაში. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე ქალებს უხდებათ დაწესებულ ნორმაზე მეტი სიმძიმის აწევა და გადაადგილება.

დღესდღეობით ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესება საქართველოს პროფკავშირების ყოველდღიური ზრუნვის საგანია. იმედია, XII ხუთწლედი ბევრ სიკეთეს მოუტანს ჩვენს ქალებს.

**ესაუბრა ი. ჩოფიკაშვილი**

# კომკავშირელთა თაოსნობა

ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკის გაზეთ „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე მარინე ხოფერია კომკავშირული რგოლის ხელმძღვანელია, იგი 1984 წელს აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ამავე წელს გადაეცა საპატიო ნიშნის ორდენი. 1985 წლიდან მარინე საკავშირო კომკავშირის პრემიის ლაურეატია. წლეულს მარინეს რგოლს გეგმით 65 ტონა „მწვანე ოქრო" უნდა მოეკრიფა. კომკავშირელმა ქალიშვილებმა ინიციატივა გამოიჩინეს და დასვენების დღეებშიც მუშაობდნენ. ამიტომაც გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მათ ამ თაოსნობას სხვებიც გამოეხმაურნენ რაიონში. მარინეს რგოლის წევრები: ნინა ფარლალავა, ნაზი ქირია, ნატო გვასალია, ნაზიბროლა ადამია, დები ნაირა და ლელა ჩიჩუები, კობა ჭანია სკოლიდან მოვიდნენ კოლმეურნეობაში და ყოველდღიურად 90-100 კილოგრამ პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლს კრეფდნენ.

დ. იაქობაშვილის ფოტო



მარინე ხოფერიას კომკავშირული რგოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჰმუდ თემური, ეგვიპტელი მწერალი, დაიბადა 1894 წელს. მან საფუძვლიანი განათლება მიიღო. დაეუფლა არა მარტო კლასიკურ და ახალ არაბულ კულტურას, არამედ კარგად გაეცნო ევროპულ კულტურასაც. იგი ოცდაათამდე კრებულის ავტორია. მის შემოქმედებაზე გავლენა მოახდინა ი. ტურგენევმა, ა. ჩეხოვმა და მოპასანმა.

მაჰმუდ თემურის გმირები საზოგადოების სხვადასხვა ფენას ეკუთვნიან. ესენი არიან გლეხები, წვრილი და საშუალო ბურჟუაზია, ხელოსნები. იგი სიზუსტით, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, აღწერს თანამედროვე ეგვიპტელი მდაბიო ხალხის ღატაკ ყოფას, ხედავს და გამოსავალს ვერ პოულობს ამ დუხჭირი ცხოვრებიდან.

მაჰმუდ თემური ითარგმნება ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურსა და სხვა ენებზე.

მაჰმუდ თემური

# უსტა შიჰათი ქირას თხოულობს

მოთხრობა

მხატვარი ცინარა ტერელაძე

იკბალ ხანუმთან მოახლე უმლაბიბა შევიდა და მოახსენა:

— მეეტლე მოვიდა, ქალბატონო, ქირას თხოულობს.

ამის გამგონე იკბალ ხანუმმა წარბები შეიკრა და ერთხანს ასე იყო გარინდული, მერე მოახლეს უბრძანა:

— მეეტლეს გადაეცი ნაშუადღევს გამოიაროს.

უმლაბიბა შეწუხდა, მაგრამ ბრძანებას დაემორჩილა და ოთახიდან გავიდა. მას როგორმე ერთხელ კიდევ უნდა დაერწმუნებინა მეეტლე, რომ ნაშუადღევს უთუოდ მიიღებდა ფულს. უმლაბიბამ კარებში თავი გამოყო თუ არა, სხაპასხუპით მიახალა მეეტლეს ქალბატონის დანაბარები. მერე ცხვირწინ მიუკეტა კარი, რათა მისი გაბოროტებული სახე არ დაენახა. მოახლის ნათქვამმა, მართლაც ისე აღაშფოთა მეეტლე, რომ ლანძღვა-გინებით გაუყვა გზას.

ქალბატონმა რამდენიმეჯერ ისეირნა მისი ეტლით, მეგობრებსაც ეწვია, მეეტლის გასამრჯელომ უკვე სამას ყურუშს მიაღწია, მას კი ჯერ გროშიც არ მიუღია. შინ ავადმყოფი ცოლი და ხუთი ბავშვი ჰყავს სარჩენი. ბავშვები მშიერ-ტიტვლები დაძრწიან ქუჩა-ქუჩა, მოწყალებას თხოულობენ. მათი მამა კი ასე უსინდისოდ გაძარცვეს, მოატყუეს, გასამრჯელო დაუკარგეს.

უსინდისობაა, აბა სხვას რას დაარქმევ ასეთ საქციელს?! უკვე მეექვსედ ისტუმრებენ უარით და „მერე-მერეთი" აიმედებენ.

გაცოფებული მივიდა უსტა შიჰათი ეტლების სადგომში. ვერა და ვერ დაიმშვიდა გული, ვიდრე მტკიცედ არ გადაწყვიტა, სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს, ნაშუადღევს ჩემს გასამრჯელოს მაინც მივიღებო.

იკბალ ხანუმს კი აინუნშიაც არ ჩაუგდია მომხდარი ამბავი. ასეთი მოსაგვარებელი საქმეები უწინაც მრავალი ჰქონია. სარკის წინ გაჩერდა, ჩამოიშალა თმა და ვარცხნა დაიწყო. მერე ფერუმარილის ყუთი გადმოიღო და უდროოდ დამჭკნარი სახის შელამაზება-შეფერადებას მოჰყვა, ხანდახან ჩუმი ოხვრა აღმოხდებოდა გულიდან.

ცხოვრებამ მოღალა იკბალი! გაუტყდა სახე, გაუმრავლდა ნაოჭები თვალების გარშემო! ჯერ კი მხოლოდ 38 წლისაა! ყმაწვილქალობაში თვით სათნოებისა და სილამაზის განსახიერება იყო. ახლადშეღლებული მიათხოვეს ერთ ნამხდარ ლოთსა და ბანქოს მოთამაშე კაცს.

პატიოსნება, სიკეთე, გულწრფელობა მხოლოდ ლამაზი სიტყვებია, ხალხში ხმამაღლა სათქმელი ჭეშმარიტება; ცხოვრებაში კი სულ სხვაგვარი უნდა იყო: ცბიერი, გაუტანელი, დაუნდობელი, მრუში, პატიოსანი გზით ვერ იარსებებ, ღატაკი და დამცირებული იქნები, სულელს დაგარქმევენ. სასურველის მიღწევა ოინბაზობისა და მრუშობის გარეშე შეუძლებელია. ასეთი იყო ქმრის მორალი. იკბალს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, გამოუცდელს, უბიძგეს ცდუნების გზისკენ და ისიც გულუბრყვილოდ ასრულებდა გარყვნილი მეუღლის ნება-სურვილს.

თავიდან ყველაფერი ღვინისა და გამაბრუებელი სასმელების ხან შეთავაზებით, ხანაც დაძალებით დაიწყო, მერე და მერე, ქმარი ძმაბიჭებისაგან შეძლეულ საჩუქარსაც დაახარბებდა იკბალს და შუამავლად უდგებოდა მეუღლეს, თუ საქმეს სახეირო პირი უჩანდა. ასე ჩაითრია ცხოვრების წუმპეში ლოთმა ქმარმა.

ოცი წლისა დაქვრივდა იკბალი. ქმარი მაშინ მოუკვდა, როცა აღარც სირცხვილი და პატიოსნება შერჩა, აღარც სინდისის ქენჯნის უნარი. ყოველგვარი ადამიანური სიკეთე წაიშალა მის არსებაში.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. თაყვანისმცემელთა რიცხვი შემცირდა. ახლა დღიური ლუკმის შოვნაც კი უჭირს. საათობით ცდილობს სარჩოს მოპოვებას, თვალის ჩაკვრით ფიქრობს სიცოცხლის შენარჩუნებას.

მეეტლე უსტა შიჰათი ზუსტად დანიშნულ დროს დაბრუნდა გასამრჯელოს მისაღებად, მაგრამ მის ძახილს არავინ გამოეხმაურა. მაშინ იქვე მდგომ ბიჭს დაუტოვა თავისი ეტლი, გადაჭრა პატარა ბაღი, რომელიც სახლს ეკვროდა, ატეხა კარზე ბრახუნი და მთელი ხმით აღრიალდა. ამ დროს იკბალი, ჩვეულებისამებრ, საძილე ოთახში სარკის წინ იდგა და კეკლუცობდა. თმაგაშლილი და ფეხშიშველი იყო. ტანთ წინანდელი კეთილდღეობიდან შემორჩენილი თხელი ღამის პერანგი ემოსა. ღია გულისპირიდან შიშველი მკერდი მოუჩანდა. მშვენივრად ესმოდა მეეტლის ხმა, მაგრამ არაფრად აგდებდა, უზრუნველად იღიმებოდა. უეცრად აღელვებული მოახლე შემოიჭრა ოთახში, უნდოდა ქალბატონისთვის ეკითხა, როგორ მოვიქცეო.

იკბალი ერთხანს ჯიუტად დუმდა, ხმას არ იღებდა. მეეტლის უწმაწური სიტყვები კი უკვე დერეფნიდან ისმოდა.

— რა გინდა ჩემგან, რა! ხომ იცი, ფული არა მაქვს, — ჩაილაპარაკა ბოლოს ქალბატონმა.

მოახლე ისევ დერეფანში გავარდა, გაკაპასებულმა მეეტლეს კიცხვა დაუწყო თავხედური საქციელისათვის. ურჩევდა, გონს მოსულიყო და გასცლოდა იქაურობას. გაუთავებელ ლანძღვა-გინებას ბოლო არ უჩანდა. გაცეცხლებულმა მეეტლემ საცემრად გაიწია. მოახლესა და უსტა შიჰათს შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. მოახლეს გაუჭირდა მეეტლის მოგერიება და ქალბატონს მოუხმო საშველად. ამ დროს, საძილე ოთახის ზღურბლზე, ღამის პერანგის ამარა გამოჩნდა იკბალი, „უცოდველი და მშვენიერი", თითქოს ამ წუთამდე არც იცოდა, რაზე დაობდნენ მის სახლში. ვითომ არაფერი მომხდარიყო, ისე ნაზად, გულწრფელად იკითხა:

— რა ამბავია, უმლაბიბა? — შემდეგ, თითქოს ყველაფერს მიხვდაო, მეეტლეს მიმართა:

— უსტა, გეყოფა ჩხუბი, მოდი მოგცე შენი ვალი.

უმლაბიბას ყურისმომჭრელი ჩხავილის შემდეგ, იკბალის მოულოდნელმა ალერსიანმა ხმამ მეეტლე გააყუჩა. თუმცა, ჯერ კიდევ ვერ გაეგო თვალთმაქცობდა თუ მართლა მხსნელად მოევლინა ქალბატონი. როგორც კი შენიშნა იკბალმა თავისი მზაკვრული ხმის ძალა და მეეტლის ყოყმანი, თამამად გადმოვიდა ზღურბლზე, ჩაავლო ხელი ხელში და საძილე ოთახისაკენ გაუძღვა. მეეტლე დაბნეული იყო. არ იცოდა რა ეთქვა, ან რა ექნა.

— მოდი, აიღე შენი ვალი, არაფერი გიჭირს, ჩემთან ერთად თუ შემოხვალ ოთახში, შე სულელო შენა! — ჩურჩულებდა იკბალი და დასჯილივით მიათრევდა ხელჩაკიდებულ უსტა შიჰათს.



უსტა შიპათი 58 წლის კაცი იყო. რკინასავით მაგარი და ჯანმრთელი. მეეტლეობის გარდა, თავის დღეში არც ერთი საქმე არ უსწავლია. თავდაპირველად, კარგა ხნის განმავლობაში, მეჯინიბე იყო. თავლაში ცხოვრობდა, იქაურობას გვიდა. ცხენებს ჰბანდა, რეცხდა ეტლებს და ლაგამ-უზანგებს, შემდეგ კი მეეტლეობას მიაღწია და ეტლის კოფოზე წამოსკუპდა. ეღირსა შარვლისა და ქურთუკის ჩაცმას, მაგრამ ის შემოსავალი, რომელსაც ეტლით შოულობდა, არ ჰყოფნიდა ხუთი ბავშვისა და ლოგინად ჩავარდნილი, ავადმყოფი ცოლის შესანახად და გამოსაკვებად. უსტა შიპათს სახე ჭუჭყიანი, ჭაღარაშერეული წვერით ჰქონდა დაფარული. წვერს უფულობის გამო იშვიათად იპარსავდა. ბინძური, დახეული ტანსაცმელი ეცვა. შარვალს წელზე შემოკრული წითელი შალით იმაგრებდა, თავზე გაცვეთილი ტარბუში ეხურა. მიუხედავად ჭაპანწყვეტაში გატარებული მთელი სიცოცხლისა, მაინც იმედის თვალით შეჰყურებდა მომავალს. ხშირად უნახავთ, ეტლის კოფოზე თავმომწონედ წამომჯდარს, ფეხიფეხზე გადაედო და მხიარულად ღიღინებდა ქუჩურ რომანსებსა და შაირებს. ქალის დანახვისას სიხარულით აათამაშებდა ხოლმე ჯღანებში გამოყოფილ თითებს და თავისავით ღარიბ-ღატაკს ხვეწნით ჩაულაპარაკებდა:

„ცოტა ხანს მოიცა, გოგო, რა, გამახარე!“

მაღალი წრის ქალიშვილებს კი, მომაჯადოებელი გოგმანით რომ ჩაუვლიდნენ და ნასწავლი, ნავარჯიშევი ხერხით შავი სიფრიფანა ჩადრიდან გამოაჩენდნენ ლამაზ სახეებს, უსტა შიპათი მხოლოდ გულსაკლავ ოხვრას გააყოლებდა ხოლმე. მისი ეტლით მოსეირნე შეყვარებული წყვილების ვნებიანი კოცნისა და სიცილის ხმები თუ სწვავდა მის ყურს, უსტა შიპათსაც ტრფიალების ცეცხლი ედებოდა, ვნებით ანთებული, წყევლას შეუთვლიდა ხოლმე თავის ავადმყოფ ცოლს:

— ჩემი ცოდვა მოგეცეს, უმაჰმად! — და რაკი თავის გარშემო სხვას ვერავის პოულობდა, ჯავრის ამოსაყრელად მათრახით დაეცხრებოდა ხოლმე დაღლილ გაძვალტყავებულ ცხენებს.

უსტა შიპათი საძილე ოთახში შევიდა, სიამოვნებით ჩაისუნთქა ქალბატონის სუნამოთი გაჟღენთილი ბუდუარის ჰაერი და ნერვები დაუმშვიდდა. თვალები, რამდენიმე წუთის წინ რომ ბოროტად უბრიალებდა, ახლა კმაყოფილებით იმზირებოდნენ. პირდაღებული შეჰყურებდა იკბალის შიშველ ტანს. იკბალი კი საქმიანად მიდი-მოდიოდა მის წინ. ოთახში რაღაცას ეძებდა. აჰა, იპოვა კიდეც გასაღები, გააღო კარადა, გადმოაქოთა უჯრები და რაც შიგ იყო ყველაფერი მიყარ-მოყარა იატაკზე.

უსტა შიპათი ასე ლამაზსა და შილიფად ჩაცმულ არისტოკრატიული წრის თვალთმაქცს პირისპირ არასოდეს არ შეხვედრია. ასეთი თეთრყირმიზი, ნაზი კანი, მომაჯადოებელი შავი თვალები, ჩამოქნილი ფეხები, შუბლზე ჩამოწეწილი შავი თმა და ღია გულისპირიდან გამომზირალი თეთრი მკერდი არასოდეს უნახავს.

აი, თურმე როგორი ყოფილა იკბალი, ტანწვრილი, ფერმკრთალი სახის, უძირო შავი თვალებით. ეს მშვენიერება კი მუდამ ჩადრით იყო დაფარული, — გაიფიქრა უსტა შიპათმა და საამო ჟრუანტელმა დაუარა ტანში.

არც უნახავს როდისმე სხვა ქალი, თავისი ავადმყოფი, უსახური, ერთთავად მწვანე, დაფხრეწილი ჯილბაბით შემოსილი საკუთარი ცოლის გარდა. ჩადრებში მოგოგმანე, თუ მის ეტლში მოჟღურტულე ქალებზე ნატვრითა და დღედაღამე ოცნებით კი შეღონებული ჰქონდა გული.

იკბალი ფიქრში წასულ უსტა შიპათს მიუახლოვდა და შემპარავი, მორჩილი ხმით უთხრა.

— უსტა, ხედავ, დღეს გროშიც არა მაქვს, ხვალ გამოგევლო, — და ისე გამომწვევად შეხედა, ისე გაუყარა თვალი თვალში, ისე გაუღიმა, რომ უსტა შიპათს ცეცხლი წაეკიდა, თავბრუ დაესხა და ურცხვად წაილუღლუღა:

— ო, ხანუმ, მე აქედან გასვლა არ შემიძლია.

— ნუ გახვალ, აბანოში შედი! უთხრა იკბალმა და უსტა შიპათს მიუახლოვდა. მისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა მეეტლის ძონძებსა და გულისამრევ სუნს. ვითომ გრძნობადაკარგული ჰკოცნიდა ტუჩებში.

უცებ, საიდანღაც გაჩნდა ჯემალი, იკბალის შვიდი წლის ვაჟი, რომლის მამა თვით იკბალმაც არ იცოდა ვინ იყო. ერთხანს იჭვრიტებოდა გასაღების ჭუჭრუტანიდან, მერე წამოხტა და სიცილით გაიქცა. გზაში მოახლე ულმაბიბას შეეჩეხა, გააჩერა და ჩურჩულით აუწყა ის საიდუმლო, რაც ოთახში დაინახა.

ასე ადვილად და ლამაზად მიიღო უსტა შიპათმა თავისი ქირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მგზავრი რომ კმაყოფილი იყოს

დღესაც, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ავტომობილიზაციის ტემპების განუზომელი ზრდის პირობებში, განსაკუთრებით აქტუალურია ცნობილი ინგლისელი მწერლისა და ფილოსოფოსის ფრენსის ბეკონის სიტყვები, რომლებიც თითქმის 350 წლის წინათ ითქვა: „სამი რამ ქმნის ქვეყნის სიდიადესა და კეთილდღეობას: ნაყოფიერი ნიადაგი, ქმედითი მრეწველობა და საქონლის გადაზიდვისა და გადაადგილების სიადვილე“.

გადაზიდვისა და გადაადგილების საშუალებებს შორის ჩვენს დროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საავტომობილო ტრანსპორტს. მის გამართულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ქალაქის ცხოვრების ნორმალური მაჯისცემა, ადამიანების გუნება-განწყობილება.



● ტრამვაის მძღოლი მარგარიტა ნაროუშვილი

რედაქციაში მშრომელ ქალთა უამრავი წერილი და შეკითხვა, წინადადება და საჩივარი შემოდის დედაქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემებზე. გარდა ამისა, 1986 წელი საიუბილეო წელია მსოფლიოს ავტოტრანსპორტელებისათვის — წლეულს 100 წელი სრულდება ავტომობილის გამოგონებიდან. ავტომობილი ინტერნაციონალური მონაპოვარია როგორც გამოყენების, ისე იმ თვალსაზრისითაც, რომ მრავალი ქვეყნის გამომგონებელთა და მეცნიერთა შრომის ნაყოფია.

ჩვენი ჟურნალის სპეციალური კორესპონდენტი შეხვდა ქ. თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსის მოადგილეს ამხ. ალექსანდრე სიდამონიძესა და ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის განყოფილების გამგეს ამხ. ზაურ კაჭარავას და სთხოვა პასუხი გაეცათ რამდენიმე შეკითხვაზე.

— თბილისის მასშტაბით რომელ მარშრუტებზეა სერიოზული შეფერხებები მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებაში, რა არის ამის მიზეზი და რა ღონისძიებებია გათვალისწინებული მათს დასაძლევად?

— საქალაქო ტრანსპორტის მუშაობაში ცალკეული შეფერხებებია დიმიტროვის ქარხნის დასახლების, კაიროს, ჯავახეთის, ჭიჭინაძის ქუჩებსა და ზოგიერთ სხვა ადგილებში (16, 51, 39 ავტობუსის მარშრუტები), სადაც მოძრავი შემადგენლობა ხშირად გამოდის მწყობრიდან წლების მანძილზე სატრანსპორტო გზების შეუკეთებლობის, აგრეთვე სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო.



ტრამვაის მძღოლი
ნატალია პროდანი

დ. იაკობაშვილის ფოტოები

შეფერხებები სუბიექტური მიზეზების, საწარმოო და საშემსრულებლო დისციპლინის დაბალი დონის ბრალიც არის. ჯერ კიდევ გვაქვს მძღოლების სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადების ფაქტები, მოძრავი შემადგენლობის მარშრუტიდან მოხსნა ტექნიკური გაუმართაობის გამო.

ახლო მომავალში გათვალისწინებულია ახალი საავტობუსო საწარმოს მშენებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ზოგიერთ მარშრუტზე მოძრაობის ინტერვალის შემცირების მიზნით მოძრავი შემადგენლობის გაზრდას, აგრეთვე მოგვცემს საშუალებას, ვიქონიოთ სარეზერვო მანქანები მწყობრიდან გამოსული ავტობუსების შესაცვლელად.

მოკლე ხანში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ქალაქის ტრანსპორტის მართვის ახალი რეგიონალური სისტემა და მაშინ 16 ჯგუფის მიხედვით განსაზღვრულ მარშრუტებს უხელმძღვანელებს თითო დისპეტჩერი. ჯგუფის მართვის საშუალებებში შევა ხაზის დისპეტჩერებთან სელექტორული, სატელეფონო და ტელეკავშირები, ხოლო მძღოლებთან — რადიოკავშირი.

დასახულია ღონისძიებები მძღოლთა შორის საწარმოო და საშემსრულებლო დისციპლინის განსამტკიცებლად.

— ძირითადად რის მიხედვით იგეგმება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტები, ხდება თუ არა მათი ხელახალი განხილვა და დროის რა შუალედში?

— მარშრუტებზე მოძრავ შემადგენლობათა რაოდენობა განისაზღვრება მგზავრთა ნაკადის მიხედვით, სატრანსპორტო საშუალებათა შევსებისა და მოძრაობის სიჩქარეების გათვალისწინებით. თბილისის პირობებში ძირითადად მოქმედებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის ორი გრაფიკი — ზაფხულისა და წლის დანარჩენი პერიოდისათვის. სხვადასხვა გრაფიკებია აგრეთვე კვირა დღეების მიხედვით. სამუშაო დღეებში მარშრუტებზე ჩართულია მოძრავი შემადგენლობის მაქსიმალური რაოდენობა.

— უახლოესი ისტორიული მონაკვეთისათვის პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ძირითად მიმართულებებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ფაქტორს, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში თითოეული მუშაკის მნიშვნელობის ზრდას. რა შეღავათებით სარგებლობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლები თბილისში და კიდევ რა შეღავათებია გათვალისწინებული მათთვის მომავალში?

— მძღოლის პროფესია სულ უფრო პასუხსაგები ხდება. გზებზე მანქანების ნაკადის ინტენსიური ზრდის პირობებში მოძრაობის უსაფრთხოებასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტრანსპორტის მუშაობის ეფექტურობის ზრდას, რაშიც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი მძღოლს აკისრია. საქალაქო ტრანსპორტზე ტრამვაის, ტროლეიბუსისა და ავტობუსის მძღოლებისათვის უკანასკნელ ხანებში დაწესდა შეღავათები. მათ საშუალება მიეცათ სამი წლის მუშაობის შემდეგ შეისყიდონ ამორტიზებული ავტომანქანები, ხოლო მისაბმელიან ავტობუსებზე მომუშავე მძღოლებს — ამის უფლება ორი წლის შემდეგ ეძლევათ.

ყოველწლიურად ჯამდება სოცშეჯიბრების შედეგები. პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გამოსული ბრიგადები ჯილდოვდებიან გარდამავალი დროშით, ქების სიგელებით, ფულით, რომელიც ხშირად ერთი თვის ხელფასის ოდენობით განისაზღვრება და სხვა. მძღოლები სარგებლობენ აგრეთვე შეღავათებით საცხოვრებელი ბინის მიღებისას. დღეისათვის მუშავდება მძღოლთა ახალი დამატებითი შეღავათების პროექტი.

— როგორია ქალთა ხვედრითი წილი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლებს შორის?

— სამწუხაროდ, მეტად მცირე. ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოში დღეისათვის მძღოლად მუშაობს მხოლოდ 14 ქალი; 10 ტრამვაიზე, 4 ტროლეიბუსზე, 9 კი სატაქსომოტორო საწარმოში.

— რა არის ამის მიზეზი, თვითონ ქალები გაურბიან მძღოლის პროფესიას თუ არსებობს აქ რაღაც გარკვეული შეზღუდვები?

— საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლის პროფესია, რაც უნდა იყოს მაინც რთულია და სპეციფიკური, ამ დარგში ქალთა პერსონალის ხვედრითი წილის სიმცირე ბევრი ფაქტორის შედეგია. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლებად ქალთა მოზიდვის საქმეში მხოლოდ შეღავათები როდია გათვალისწინებული. ოღონდ კი სურვილი ჰქონდეთ თვითონ ქალებს და, — ხელისშეწყობა არ მოაკლდებათ. ბევრი რამ ვილონეთ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სოჭის, მინსკისა და სხვა ქალაქების სატაქსომოტორო გაერთიანებების გამოცდილების მიხედვით სპეციალურ სასწავლებელში ტაქსის მძღოლ ქალთა ჯგუფის გასახსნელად, და მაინც ვერ მოხერხდა ჯგუფის დაკომპლექტება მთლიანად ქალებით. შეგროვდა მხოლოდ 21 ქალი. მათგან 13-მა შეძლო სწავლის ბოლომდე გაგრძელება.

— გყავთ თუ არა მოწინავენი ქალებს შორის?

— სატაქსმოტორო საწარმოში კეთილსინდისიერი შრომით გამოირჩევიან მძღოლები ტასია გლადირი და ასმათ ნებიერიძე, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს და მტკიცედ ინარჩუნებენ ადგილს საწარმოს მოწინავეთა რიგებში.

ათეული წლებია მოწინავეებს მხარს უმშვენებენ ტრამვაის მძღოლები დები ლიდა და მარიამ დოცენკოები. მათ არ ჩამოუვარდება ახალბედა მძღოლი, სამი შვილის დედა ლიანა ტაბუევა, რომელიც საწარმოში 1981 წლიდან მუშაობს.

ესაუბრა მანანა სოხაძე.



დედოფალი — გ. იაკობაშვილის პიესიდან „ქართლ-კახეთის უკანასკნელი ქრონიკა"

თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მშვენებას, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ოლღა შუბითიძეს სამუშაო ოთახში ვეწვიე.

— მინდა მადლობა გითხრათ იმ დიდი ესთეტიკური სიამოვნებისათვის, ბევრჯერ რომ მომანიჭეთ სცენიდან.

— გმადლობთ, ქალბატონო.

— რამდენჯერმე განახეთ თამარ მასწავლებლის როლში (გურამ ბათიაშვილის „წერილები შვილებს") და როცა კი აფიშაზე კვლავ ამოვიკითხავ, რომ ეს პიესა მიდის, ვღელავ, ძალიან იმეტებთ თავს, არ შეგიძლიათ ცოტა უფრო მშვიდი იყოთ?

— არა, არ შემიძლია! ჩემი აღზრდილი შვილი ამორალურ პიროვნებად მიიჩნიეს, ამან მორალურად დასცა, გაანადგურა დედა და როგორ უნდა გადავიტანო ეს მშვიდად?

# მოკრძალებული ხელოვანი

— რა საოცარ გარდასახვას აღწევთ, პარტნიორებსაც და მაყურებლებსაც ავიწყდებათ, რომ სცენაზე ხართ, საიდან იღებენ სათავეს თქვენი გმირები, რა ძალა ანიჭებთ ამ სასიცოცხლო უნარს?

მიყურებს თავისი მშვენიერი, გონიერი თვალებით და ვამჩნევ აღარ მხედავს. თავის ცხოვრების გზას გაჰყურებს. მან ფართოდ გამიღო გულის კარი, დამატარა თავისი სულის ლაბირინთებში, ვერ გავიგე, როგორ გაიქროლა ორმა საათმა.

— მაპატიეთ, ძალიან დაგღალეთ, დღემდე გიცნობდით ხელოვანს, დღეს კი დავინახე თქვენი სულის წალკოტი, მისგან ამაღლებული ადამიანი. აი, თურმე საიდან იღებენ სათავეს თქვენი გმირები.

— მეტისმეტად მაქებთ.

— მე დღეს ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ მოკრძალება ტალანტის განუყოფელი ნაწილია; ვრწმუნდები თქვენგან, ანანოს სცენური სიცოცხლის მომნიჭებლისგან (რ. ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭალის ხმები"). თქვენი ანანო მარგალიტივით ბრწყინავს, აჩვენეთ ის მსოფლიოს და ხმალს ქარქაშში ჩააგებს სისხლმოწყურებული ჯალათი, დაიჩოქებს თქვენი ანანოს წინაშე — სიცოცხლისა და დედობის წინაშე.

— ნუთუ მართლა ასეთია ჩემი ანანო?

მივდივართ. გვერდით ნიჭიერი ხელოვანი მომყვება, გამვლელ-გამომვლელნი სიყვარულით შესცქერიან...

მოკრძალებული გოგონა იყო ოლია შუბითიძე. მსახიობობაზე ოცნებასაც ვერ გაბედავდა. ქართული ენის სიმდიდრე აოცებდა, მისი შესწავლა სურდა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ სრულიად შეცვალა მისი ცხოვრების გზა. მაშინ მეშვიდე კლასში იყო. მისი მასწავლებელი, ლევან იგითხანოვი, იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნას"? ამზადებდა მოსწავლეთა ძალებით. ოლიას ეპიზოდური როლი შესთავაზა. პირველსავე რეპეტიციაზე მოიხიბლა მასწავლებელი გოგონას უზადო მეტყველებით, გარდასახვის საოცარი უნარით.

— შენ დედის როლი უნდა შეასრულო! — უთხრა მასწავლებელმა.

შეკრთა ოლია, მაგრამ უარის თქმა ვერ გაბედა, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით დაიწყო როლზე მუშაობა და 14 წლის გოგონამ მთელი რაიონი აალაპარაკა. პიესა დიდხანს შერჩა სცენას. რაიონის ხელმძღვანელობამ მადლობა გამოუცხადა მასწავლებელს.

— ეს წარმატება შენ მოუტანე სკოლას, ოლიკო, შენი მოწოდებაა მსახიობობა, მიჰყევ შენი ბუნების კარნახს, — უთხრა მასწავლებელმა.

სამამულო ომი მძვინვარებდა. ლაგოდეხის თეატრი ახალგაზრდობის ნაკლებობას განიცდიდა. დასი მოსწავლეებისგან შეავსეს და მთელი ხუთი წელი მუშაობდა ოლია თეატრში, თან წარმატებით სწავლობდა საშუალო სკოლაში.



თამარი — გ. ბათიაშვილის პიესიდან „წერილები შვილებს"



ქალბატონი დრაგა — ბ. ნუშიჩის პიესიდან „ფილოსოფიის დოქტორი".

1957 წლიდან ოლია შუბითიძე თელავის თეატრში იწყებს მუშაობას. კვლავ მოკრძალება, კვლავ ჩრდილში დგომა და აი, ერთმა შემთხვევამ უცებ ამოატივტივა იგი. თეატრმა ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" მოამზადა. პრემიერის წინა დღეს ბებიის როლის შემსრულებელს მამა გარდაეცვალა.

— უნდა გვიხსნა, ოლიკო, შენ უნდა შეასრულო ბებიის როლი, — უთხრა რეჟისორმა.

— როგორ? მე ხომ არც ტექსტი ვიცი, არც...

— არა უშავს, გამოვაცხადებთ, რომ შემთხვევით გიხდება გამოსვლა, ხელთ გექნება დაწერილი ტექსტი და მხოლოდ რეპლიკებს მიაწვდი პარტნიორებს, სხვა გზა არა გვაქვს.

მთელი ღამე გაათენა ოლიამ, ტექსტი დაიზეპირა, მაგრამ რა მოუხერხოს მოძრაობებს? პარტნიორებს შეევედრა, მე საითაც გული მეტყვის, იქით წავალ, თქვენ ხელი შემიწყვეთ, სცენაზე არ დამეჯახოთო.

პრემიერას უდიდესი წარმატება ხვდა წილად. სპექტაკლის სული და გული ოლღა ბებია იყო. განსაკუთრებით სიკვდილის სცენა წარმოადგინა ძლიერად. ისე წყვეტილ-წყვეტილად ლაპარაკობდა, ისე დაღლილი, ძალაგამოლეული სახე და სიცოცხლეჩამქრალი თვალები ჰქონდა, პარტნიორებსაც კი დაავიწყდათ, რომ სცენაზე იყვნენ.

ხალხი ტაშს უკრავდა ოლია შუბითიძეს, დაუსრულებლად ითხოვდა მის გამოჩენას.

— რატომ მოგვატყუეთ, მოუმზადებლად გამოდისო? — იძახდნენ მაყურებლები.

— ხელი შემიწყეთო, დამეხმარეთო და პირიქით კი გამოვიდა: შენ შთაგვაგონებდი, შენ მოგდევდით — გულწრფელად ულოცავდნენ პარტნიორები გამარჯვებას. ამ დღიდან შეუცვლელი ბებია გახდა ოლია შუბითიძე თელავის თეატრის სცენაზე.

თეატრში მეცნიერთა ჯგუფი ჩამოვიდა მეტყველების დონის შესამოწმებლად. ოლია შუბითიძეს მხოლოდ ერთი, ეპიზოდური, ბებია აკვირინას როლი ჰქონდა ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეში". აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა მოითხოვა, ამ როლის შემსრულებელი მაჩვენეთო.

— ბატონო გიორგი, დაგიბარებივართ, — მივიდა ოლია.

— შენ კი არა, შუბითიძე დავიბარე.

— მე ვარ, ბატონო გიორგი — შუბითიძე.

— შენ? — გაოცდა ახვლედიანი — შენ, ასე ახალგაზრდამ, როგორ მოახერხე უძლური მოხუცის ასე ბრწყინვალედ გაცოცხლება? მირბიხარ, მირბიხარ და ერთ ადგილზე კი ხარ გაჩერებული, რეჟისორმა გაგაკეთებინა ეს?

— არა, ბატონო გიორგი, მე თვითონ.

იმ დღიდან დამეგობრდნენ:

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში საგასტროლოდ ჩამოსულმა თელაველებმა რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი" ჩამოიტანეს. ოლია შუბითიძე დედის როლს ასრულებდა.

წარმოდგენას დიდი წარმატება ხვდა წილად. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ პარტერში იდგა აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი და ტაშს უკრავდა. „მაპატიეთ, ბატონო გიორგი. რა ძალიან შეგაწუხეთ" — ჩურჩულებდა ოლია და მდაბლად უკრავდა თავს ცნობილ მეცნიერს.

სცენაზე ავიდა გრიგოლ კოსტავა (რომანის პიესად გადამკეთებელი), მსახიობის წინაშე მუხლებზე დაეშვა, ხელები დაუკოცნა და უთხრა:

— თქვენ ყველაზე მართლად, ზუსტად წარმოადგინეთ ის დედა, რომელიც მე მქონდა ჩაფიქრებული, თქვენ ჩემი დედა ხართ.

ახალი აღიარება ხვდა წილად მსახიობს გ. ბერიაშვილის პიესაში, რომლის სათაურია „სადა ხარ, ჩემო მებაღევ". ამ სპექტაკლში მან ჩვეული ოსტატობით შეასრულა დედის როლი. წარმოდგენის დასასრულს სცენაზე ავიდნენ ელენე ახვლედიანი, რუსუდან ჯავრიშვილი, ნატალია ... და გამარჯვება მიულოცეს. ელენე ახვლედიანმა ორივე ხელზე აკოცა და უთხრა: — ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ აქ ამხელა სიამოვნება მელოდა. მინდა დაგხატოთ, რამდენჯერმე მოგიწვევთ ჩემთან ჩამოსვლა. ოლია ბავშვივით გაწითლებული, მოწიწებით შეჰყურებდა სათაყვანებელ მხატვარს.

— გმადლობთ, ქალბატონო ელენე, გმადლობთ! — ამბობდა და გულში კი ფიქრობდა, „თქვენს ასეთ შეწუხებას როგორ გავბედავდიო".

დიდი შემოქმედებითი გამარჯვება მოუტანა მსახიობს დიმიტრის დედამ, ანეტამ, მარიკა ბარათაშვილის პიესაში „ფრთხილად, სასიკვდილოა". ამ როლს პრესამ მაღალი შეფასება მისცა. თვით მარიკა ბარათაშვილი ავიდა სცენაზე, გულში ჩაიკრა მსახიობი და უთხრა.

— გმადლობთ, ოლიკო, თქვენ მაყურებლამდე მიიტანეთ ის, რაც მე მქონდა ჩაფიქრებული და იმაზე კიდევ უფრო მეტი.

ორასზე მეტი როლი განასახიერა ოლია შუბითიძემ თელავის თეატრის სცენაზე: სუტკნეინა — (ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანში"), ქეთევანი (ო. მამფორიას „მეტეხის ჩრდილში"), გიჟი სალომე (ვ. იაქაშვილის „ციხის ხევის საიდუმლო"), კესარია — (ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება"). ნინო — (გ. ბერძენიშვილის „დაჭრილი არწივი"), მაკრინე (მარიკა ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთი") და სხვა.

ყოველ მათგანს თავისი გულის ნაწილი გაატანა, თითოეულმა დიდი შემოქმედებითი სიხარული განაცდევინა; ქალბატონი ოლია ერთნაირად ძლიერია როგორც სახასიათო, ისე დრამატულ როლებში. ვინც ერთხელ მაინც ნახავს მას თუნდაც ეპიზოდურ როლში, არასოდეს აღარ დაავიწყდება.

დღეს ოლია შუბითიძე შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში იმყოფება. მისი ყოველი ახალი როლი ახალი სიმაღლეა წინა როლთან შედარებით. ჯერ არ თქმულა მისი საბოლოო სიტყვა და კიდევ მრავალი როლის განსახიერებაზე ოცნებობს იგი. მისი მადლიერი მაყურებელი კი სიხარულით მიისწრაფის თეატრისკენ, იცის, მოწმე გახდება მსახიობის ახალი შემოქმედებითი წარმატებისა; ამის საწინდარია მსახიობის უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, დაუცხრომელი ძიება, სწრაფვა სიახლისკენ, მომხიბვლელი სცენური გარეგნობა, ლამაზი ტემბრის ხმა და ცით მომადლებული ნიჭი... ვუსურვოთ ქალბატონ ოლიას ჯანმრთელი, ბედნიერი სიცოცხლე და ახალ-ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები.

გულნარა გიორგანაშვილი,
ქ. თელავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანატოლ პოტემკოვსკი

# წერილი

სახალხო საბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილების უფროსმა, ვინმე სტანისლავმა წერილი გაუგზავნა ჰალინკას...

„მომხიბლავო მეზობელო!

ახლა შემოდგომაა. გაშიშვლებული ხეები და ბუჩქები. ზაფხულში შენს საყვარელ სახეს ვერ ვხედავდი. იმიტომ, აგერ, უკვე ორი თვეა, წერილების მოწერით შევცვალე შენთან საუბრის ბედნიერება. ძალიან ხომ არ გაწუხებს ეს მიწერ-მოწერა? მომწერე.

გუშინ მდინარის პირას ვსეირნობდი. გამახსენდა ის დაუვიწყარი საღამო, ჩვენ რომ დიდხანს ვსაუბრობდით ყოფნა-არყოფნის თაობაზე. კარგი ღამე იყო, მალე ბადრი მთვარე წამოგვადგა თავზე...

მე არ გწერ, რომ გამუდმებით შენზე ვფიქრობ, რადგან ეს მართალი არ არის. არა გწერ, რომ უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია — ხომ ვცოცხლობ და ზოგჯერ ძალიან კარგადაც ვარ. ისე კი, ბევრ დროს სიამოვნებით დავთმობდი შენთან სასაუბროდ. იშვიათია, რომ ორ ადამიანს ერთმანეთისა ისე კარგად ესმოდეს, როგორც მე და შენ, ჩემო კარგო. შენ ქალიშვილი ქალი ხარ, მაგრამ მხოლოდ ამით კი არ განისაზღვრება ჩვენი მეგობრობა, რასაც დიდად ვაფასებ. მეგონა, წარსულ კვირაში ვარშავაში ვიქნებოდი პრეზიდიუმის საქმეებზე და გინახულებდი, მაგრამ ვერ მოვახერხე. ისევ ჩამეშალა ოცნება, რომ გამეგონა შენი ნაზი ხმა, კვლავ მეხილა შენი ჟუჟუნა თვალები. რა საინტერესოა ქვეყანა, არა?! რას იზამ, ზოგჯერ მგონია, რომ რაღაც სხვა ვარ და არა ჩვეულებრივი ადამიანი... კვლავ ვუბრუნდები ძველ თემას, მეგობრობის თემას და სულ ვფიქრობ, რა მხიბლავს ასე ძალიან შენში:

გონიერება, სიკეთე, სათნოება თუ გაგება... არა, სხვა ვერავინ შეცვლის იმ მეგობარს, რომელსაც შორს, ვარშავაში შეუძლია ასევე ბევრი იფიქროს ჩემზე. ნუ დაივიწყებ ერთგულ მეგობარს. გკოცნი ზედ ლოყაზე. სტაშეკ".

ადრესატმა ეს წერილი იმ ლექციაზე მიიღო, რომელსაც სტაშეკიც ესწრებოდა. ქალმა მალულად გადაიკითხა.

— რაიმე საინტერესოა? — ჰკითხა გვერდით მჯდომმა ქალიშვილმა.

— არა, — მიუგო ჰალინკამ, — ერთ ტიპს უნდა ჩემთან ერთად დაიძინოს.

პოლონურიდან თარგმნა
**ინგა კაკაბაძე**

რჩევა

# როგორ შევინახოთ კვერცხი

კვერცხი მიეკუთვნება საუკეთესო თვისებების მქონე საკვებს, ოღონდ იგი ისე უნდა შევინახოთ, რომ ეს თვისებები არ დაკარგოს, კვერცხი შეიცავს კალციუმს, ფოსფორს, რკინას, B, D, E ვიტამინებს, აგრეთვე ბიოლოგიურად მაღალი თვისებების მქონე ცილას, მაგრამ ამავე დროს, კვერცხი ნაკლებკალორიული საკვებია და თანაც, ნაკლებად უძლებს გარემოს მავნე ზემოქმედებას. იგი უნდა მოარიდოთ სინათლეს, ნესტსა და მაღალ ტემპერატურას. მისი შენახვის ვადა დამოკიდებულია კვერცხის სისუფთავესა და სიახლეზე.

შესანახი კვერცხი არ უნდა გარეცხოთ, რადგანაც ამ დროს მას სცილდება ბუნებრივი დამცველი საფარი, რომელიც იცავს მას სინათლისა და ჟანგბადის ზემოქმედებისაგან. უმჯობესია იგი მაცივარში შეინახოთ, მხოლოდ არა მძაფრი სუნის მქონე პროდუქტებთან ერთად, რადგანაც კვერცხში ადვილად აღწევს ეს სუნი. იმ ადგილის ტემპერატურა, სადაც კვერცხს ვინახავთ არ უნდა აღემატებოდეს $+12°C$, არც $0°C$-ზე დაბალი არ უნდა იყოს.

კვერცხი შეგიძლიათ შეინახოთ აგრეთვე ხის ან მუყაოს ყუთში, თიხის ქოთანში, უნდა მოათავსოთ ბლაგვი ბოლოთი ზევით და დააფაროთ დაჭრილი ჩალა, შეგიძლიათ ჩაფლათ ნახერხში, ქატოში, ქვავის მარცვალში ან მარილში. კვერცხს გამოშრობისაგან იცავს ცოტა ხნით ზეთში ჩაშვება (ვიდრე შეინახავდეთ).

კარგად ინახება გაყინული კვერცხი, ოღონდ წინასწარ იგი უნდა გატეხოთ და ჩაასხათ რაიმე ჭურჭელში. შეიძლება განაცალკევოთ გული და ცილა და ცალ-ცალკე გაყინოთ. გაყინული ულუფების განცალკევება ძნელია, ამიტომ წინასწარ უნდა გაანაწილოთ სხვადასხვა ჭურჭელში.

ხმარების წინ კვერცხი აუცილებლად უნდა გარეცხოთ. თუ ეჭვი გეპარებათ კვერცხის სიახლეში, იგი უნდა ჩაუშვათ მარილიან წყალში (100 გრ მარილი 1 ლიტრ წყალზე). რაც უფრო ახალია კვერცხი, მით უფრო მძიმეა იგი და ქვევით ჩაეშვება. ძველი კვერცხი ზევით ამოტივტივდება. თუ მხოლოდ ცილა გჭირდებათ, გული უნდა ჩადოთ რაიმე ჭურჭელში, დაასხათ ცივი წყალი და შედოთ საყინულეში.

ახალი კვერცხი შეგიძლიათ შეინახოთ 14 დღეს, საყინულეში კი —6 კვირას, ოღონდ, უნდა გახსოვდეთ, რომ კვერცხის გული არის ქოლესტერინის უმდიდრესი წყარო. ამიტომ, სპეციალისტთა მიერ დადგენილი ნორმების თანახმად, კვირაში 3-4 კვერცხზე მეტი არ უნდა მიიღოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა არის ბოტულიზმი და როგორ ვებრძოლოთ მას

კვებითი მოშხამვის ერთ-ერთი მძიმე სახეობაა ბოტულიზმი.

ბოტულიზმის გამომწვევი ბაქტერია, ანუ სპორაგენული ჩხირები ისე გამძლენი არიან, რომ რამდენიმე საათის დუღილიც კი არ ჰკლავს. აქედან გამომდინარე, ოჯახის პირობებში ჩვეულებრივი დუღილით არ ხდება აღნიშნული ბაქტერიების მოსპობა. ისმის კითხვა, რა არის საჭირო, რომ საწადელს მივაღწიოთ? — საჭიროა დუღილი მოხდეს ატმოსფერული წნევის საშუალებით, ე. ი. მოხდეს ავტოკლავირება, მაშინ ბოტულიზმის გამომწვევი ბაქტერიები 15-20 წუთის განმავლობაში მოისპობიან. ასეთი პირობები მხოლოდ საკონსერვო ქარხნებშია, სადაც კონსერვების მომზადება-სტერილიზაცია წარმოებს ატმოსფერული წნევით. კონსერვები (საგულისხმოა ბადრიჯნის ბაღჩეულ-ბოსტნეულისა და ხილის), საიმედოა და დაზღვეული ვართ ბოტულიზმით დაავადებისაგან.

ბოტულიზმის გამომწვევი ჩხირები საკმაოდ გავრცელებულია ბუნებაში. იგი გვხვდება ნიადაგში, ნეხვში, თევზის ნაწლავების შიგთავსში, წყალსაცავებში, ხრწნის პროცესში მყოფ მცენარეებში და ფურაჟში. საკვები პროდუქტების დაბინძურების ყველაზე უფრო რეალური წყარო მაინც ნიადაგი და ნეხვია. სწორედ ამიტომაა, რომ სოკოსაგან, ბაღჩეულის, ბოსტნეულისა და ხილისაგან ოჯახის პირობებში მომზადებული კონსერვები ძალზე საშიშია. საშიშია ბოტულიზმით დაავადების მხრივ ოჯახის პირობებში დამარილებული წითელი თევზი და ღორის ლორი, ამიტომ მათი მომზადებისას ზუსტად უნდა იქნას დაცული სანიტარული და ტექნოლოგიური წესები.

დასაკონსერვებელი ბოსტნეული, ბაღჩეული და ხილი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს სრულიად საღი, ყოველგვარი ჩახეთქილი ნაპირების, ჩანაჭდევების, დაჟეჟილი და დამპალი ნაწილაკებისაგან თავისუფალი, რათა სადმე არ ჩარჩეს მიწის ნაწილაკი და ამასთან ერთად ბოტულიზმის გამომწვევი ბაქტერიებიც. სრულიად საღი ნედლი მასალა (ხილი, ბოსტნეული), წინასწარ უნდა დახარისხდეს, ჩალბეს წყალში 10-15 წუთის განმავლობაში, შემდეგ აუცილებლად მოცილდეს ყუნწები (ბადრიჯანს, პამიდორს), რამდენჯერმე გაირეცხოს გამდინარე ცივ წყალში და ამის შემდეგ მოხდეს მათი დაკონსერვება. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სოკოს, ღანძილის, დანდურის, მწვანილეულის წინასწარ დახარისხება და ჩალბობა, ვინაიდან ზემოჩამოთვლილ მცენარეულში მეტია მიწის ნაწილაკები.

ბოტულიზმის გამომწვევი ბაქტერიების ზრდა-გამრავლებისა და ტოქსინებისათვის, ე. ი. შხამების გამომუშავებისათვის საჭიროა უჟანგბადო სივრცე, სწორედ ეს უჟანგბადო სივრცეა კონსერვებში, სადაც ისინი (ბოტულიზმის ჩხირები) ლაღად გრძნობენ თავს. ამიტომ უმჯობესია ოჯახის პირობებში კონსერვის მომზადებისას ქილის სახურავები მჭიდროდ არ დავხუფოთ, რათა ქილებში იყოს ჰაერი და არა უჰაერო სივრცე. ბოსტნეულის დაკონსერვებისათვის საჭიროა, ქილაში სითხეს დაემატოს ერთი სუფრის კოვზი ძმარი. მარილიან და მჟავე არეში ბოტულიზმის გამომწვევი ბაქტერიები ვერ მრავლდებიან და, აქედან გამომდინარე, ვერ გამოიმუშავებენ საშიშ შხამებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოტულიზმის გამომწვევი ჩხირები მრავლდებიან უჟანგბადო არეში. ასეთი პირობები შეიძლება იყოს ფიზიკური და ბიოლოგიური. ფიზიკურზე უკვე ვთქვით: კონსერვის მჭიდროდ დახუფული ქილები. რაც შეეხება ბიოლოგიურს, ეს შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: თევზში, ძეხვში და ბოსტნეულისაგან მომზადებულ კერძებში — მაგალითად, ვინეგრეტში, თუ ის ინახება სანიტარული წესების დარღვევით, შეუფერებელ ტარაჭურჭელში და სითბოში, შეიძლება გამრავლდეს სხვადასხვა ბაქტერიები, რომელთა გამრავლებისათვის უეჭველად საჭიროა ჟანგბადი, რომელსაც შთანთქავენ ეს ბაქტერიები. შეიქმნება უჟანგბადო არე, წარმოიშობა ბოტულიზმის ზრდა-გამრავლებისათვის საჭირო სივრცე. ყოველივე ეს კიდევ და კიდევ, მიგვანიშნებს იმას, რომ ბოტულიზმით დაავადება არა მარტო დაკონსერვებული პროდუქტით შეიძლება, არამედ დაუკონსერვებელი პროდუქტებითაც. პროფილაქტიკის მიზნით, მზა კონსერვს თუ ხმარების წინ წამოადუღებთ 15-20 წუთის განმავლობაში, მასში არსებული შხამები იშლებიან და საშიშროებაც აღარ იქმნება.

კვებითი მოშხამვა — ბოტულიზმი, გამოვლინდება ბოტულიზმის ტოქსინებით დაბინძურებული პროდუქტების საკვებად მიღებიდან 6-48 საათის გავლის შემდეგ. იშვიათად კი მე-3, მე-7 დღეს. არის შემთხვევები, როცა ავადმყოფობის გამოვლინება უფრო მოკლე დროში, 2—6 საათის განმავლობაში ხდება ან ძალიან მოგვიანებით, — მეათე დღესაც. ავადმყოფობა იწყება საერთო სისუსტით, თავბრუსხვევით, კუჭის მიდამოში ტკივილებით და სიმძიმის გრძნობით, გულისრევით, კუჭ-ნაწლავის აშლილობით, რომელიც შემდგომში შეიძლება გადავიდეს ყაბზობაში (შეკრულობაში). ზოგჯერ აღინიშნება სიმშრალე პირის ღრუში, ზოგჯერ ნერწყვის დენაც. ავადმყოფები უჩივიან აგრეთვე მხედველობის დაქვეითებას, გაორებას და სიარულის დროს წონასწორობის დარღვევას. მოგვიანებით შეიძლება განვითარდეს რბილი სასის დამბლითი მოვლენები. ამ დროს ყლაპვა გაძნელებულია და მიღებული სითხე ცხვირიდან ბრუნდება. ხმა ეხლიჩებათ და ზოგჯერ სრულიად ეკარგებათ. ავადმყოფს ქუთუთოები ჩამოეშვება, აქვს მაღალი სიცხე. აღნიშნული სურათი მიეწერება ძალზე მძიმე ფორმას. ზოგჯერ ავადმყოფობა მიმდინარეობს იოლი ფორმით, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიძლიერის და რაოდენობის შხამი მოხვდა ორგანიზმში და როგორ წინააღმდეგობას უწევს ადამიანის ორგანიზმი დაავადებას. აქ ხაზი უნდა გავუსვათ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს — თუ რამდენად დროულად მიმართავენ ექიმს და რამდენად დროულად იქნება დაწყებული მკურნალობა. ამ დროს მნიშვნელობა აქვს საათებსაც კი. ამ მეტად მძიმე დაავადების სამკურნალოდ, საბედნიეროდ, მოგვეპოვება საუკეთესო, უტყუარი საშუალება, ბოტულიზმის საწინააღმდეგო შრატი. თუ დროულად გამოვიცნობთ დაავადებას და მკურნალობაც დროულად ჩატარდება, შედეგებიც სასურველი გვექნება. თუ მოხდა შემთხვევა, რომ ოჯახში ავად გახდა ვინმე (ზოგჯერ კი ავადმყოფობა ოჯახში ჯგუფურია), დაუყოვნებლივ უნდა გამოვიძახოთ ექიმი და მის მოსვლამდე, ავადმყოფს ამოვურეცხოთ კუჭი თბილი ბორჯომით ან სოდიანი წყლით. თუ ავადმყოფს აღებინა, საეჭვო საჭმლის ნარჩენები შევაგროვოთ სუფთა ჭურჭელში (კონსერვი იქნება თუ სხვა რაიმე პროდუქტი), ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ლაბორატორიული შესწავლისათვის, ავადმყოფობის დასადგენად და აქედან გამომდინარე, სწორი და დროული მკურნალობისათვის. ბოტულიზმის პროფილაქტიკის საქმეში და მის მკურნალობაში დიდი ყურადღება სჭირდებათ ადგილობრივი სანეპიდსადგურების, სასწრაფო დახმარების და საავადმყოფო სტაციონარების ექიმებს.

თავისთავად გასაგებია, როგორი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქალაქებისა და რაიონების საკონსერვო საწარმოთა ხელმძღვანელებს, რათა ზუსტად და მკაცრად იქნეს დაცული სანიტარული და ტექნოლოგიური პროცესები.

ლ. გარნოვსკი,
საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყაბაყი და პატისონი

ყაბაყი და პატისონი გოგროვანთა ოჯახის ერთწლიანი მცენარეებია და ეკუთვნის ხოკერა გოგრის სახეობას. მათი ქორფა ნაყოფი გამოიყენება კულინარიაში. მისგან ამზადებენ „ხიზილალას“ და მრავალი სახის გემრიელ კერძს. საკონსერვო ქარხნებში მისგან ამზადებენ ნატურალურ კონსერვებს და მარინადს.

ყაბაყის ნორჩი ნაყოფი, ნაზი უჯრედის გამო, რეკომენდებულია კუჭის ლორწოვანი გარსის ანთებით დაავადებულ ადამიანთა საკვებად. მცენარეული ზეთით მომზადებული ყაბაყის პიურის მიღებას ურჩევენ ათეროსკლეროზით დაავადებულებს. ყაბაყი დიდი რაოდენობით შეიცავს რკინას და უხდება მათ, ვისაც აწუხებს სისხლნაკლულობა ან შედედების დაბალი უნარი. კალიუმის მარილების უხვად შემცველობის გამო მის მიღებას ურჩევენ ჰიპერტონიული და გულის დაავადებების დროსაც.

გთავაზობთ ყაბაყისა და პატისონისაგან დამზადებული კერძების რამდენიმე რეცეპტს.

**საუზმე ყაბაყისაგან:** აიღეთ 1 კგ კანგაცლილი ყაბაყი, დაჭერით მრგვლად. დაჭრილ ყაბაყს დაასხით ადუღებული, მარილიანი წყალი და დატოვეთ მასში ნახევარი საათის განმავლობაში. შემდეგ ამოიღეთ წყლიდან, მოაწყვეთ ყაბაყის ნაჭრები ჭურჭელში და ზემოდან მოაყარეთ დაჭრილი მწვანილი: ოხრახუში — 30 გრ., ცერეცო — 30 გრ., ნიორი — 20-30 გრ., დაფნის ფოთოლი, შავი პილპილი და მარილი (გემოვნებით), შემდეგ — ისევ ყაბაყის ნაჭრები. ასე გაიმეორეთ რამდენჯერმე. შემდეგ ერთმანეშთი არეული სუფრის ძმარი და ზეთი (თითო ღვინის ჭიქა) მოასხით თავზე ფენაფენა დალაგებულ ყაბაყს და რაიმე სიმძიმის ქვეშ გააჩერეთ 2 საათი. ორი საათის შემდეგ საუზმე მზად არის.

**ყაბაყი პამიდვრით და ბოსტნეულით:** 1 კგ. კანგაცლილი ყაბაყი დაჭერით 5-6 სმ. სისქის მრგვალ ნაჭრებად. ამოუღეთ გული და 5 წუთი გააჩერეთ მდუღარე მარილიან წყალში. შემდეგ ამოავსეთ ფარშით. გადაიტანეთ ცხიმიან ტაფაზე, დაასხით პამიდვრის წვენი და მოშუშეთ 20-25 წუთის განმავლობაში. ზემოდან მოაყარეთ დაჭრილი მწვანილი და სუფრაზე მიიტანეთ ცივად.

**ფარში:** ძალიან წვრილად დაჭრილი კომბოსტო, სტაფილო, ხახვი, ნიორი, ოხრახუში, ცერეცო, ქინძი, რეჰანი, შავი პილპილი და მარილი აურიეთ ერთმანეთში.

ასეთივე რეცეპტით შეიძლება მომზადდეს ყაბაყი იგივე ბოსტნეულის სატენით და ბრინჯით.

**ყაბაყის „ხიზილალა“** — 1 კგ. კანგაცლილი ყაბაყი დაჭერით 1-2 სმ სისქის მოგრძო ნაჭრებად, დააყარეთ მარილი და გააჩერეთ ნახევარი საათი, შემდეგ გაწურეთ და მოშუშეთ ცხიმში. სამ თავ წვრილად დაჭრილ ხახვთან და ნიორთან ერთად 15-20 წუთის განმავლობაში. რომ შეგრილდება, დაუმატეთ ქინძი, ცერეცო, ოხრახუში, რეჰანი, პილპილი და მარილი (გემოვნებით).

**შემწვარი ყაბაყი** — 1 კგ. კანგაცლილი ქორფა ყაბაყი დაჭერით სიგრძეზე თხელ ნაჭრებად. წაუსვით მარილი და შეწვით ორივე მხრიდან. გააცივეთ, გადაუსვით დანაყილი ნიორი და ქინძი, ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ცერეცო.

**შემწვარი პატისონი** — პატარა ზომის პატისონებს (1 კგ) ამოაჭერით გული, წაუსვით მარილი და შეწვით ცხიმში. ცალკე მოშუშეთ 3 თავი ხახვი, ნიორი გემოვნებით და პატისონის გული. გააცივეთ, აურიეთ დაჭრილი ოხრახუში, ქინძი, ცერეცო, რეჰანი, პილპილი, მარილი და ამ ფარშით ამოავსეთ შემწვარი პატისონი. სუფრაზე მიიტანეთ ცივად და დაუჭრელად.

**ყაბაყის მწნილი** — შეარჩიეთ პატარა ზომის (4-5 დღის) ყაბაყი და 2 საათი გააჩერეთ გამდინარე ცივ წყალში ან ხშირად უცვალეთ წყალი. სამლიტრიან ქილაში ჩააწყეთ 3-4 ცალი დაფნის ფოთოლი, სამ-სამი ღერი ნიახური და ცერეცო, 4-5 კბილი ნიორი, 1 ცალი წიწაკა, 1 სუფრის კოვზი მარილი და ერთი სუფრის კოვზი ძმრის ესენცია, დაასხით მდუღარე წყალი და გაუკეთეთ სტერილიზაცია 5 წუთის განმავლობაში.

ასეთივე წესით, ოღონდ უსტერილიზაციოდ, შეგიძლიათ მოამზადოთ პატისონის მწნილი.

**ეთერ რამიშვილი,**
**წყალტუბოს მებოსტნეობის საცდელი სადგურის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.**

გარეკანის პირველ გვერდზე — საქართველოს სსრ 1985 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეჩაიე ლუდიკო ბართია; მეოთხეზე — ვარძია. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები.

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ლ. კაკაბაძე (პ. მგ. მდივანი) ნ. გაფრინდაშვილი, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ ულენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 4.09.86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 10. 86 წ. ქაღალდის ზომა $60\times90^{1}/_{3}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 145.000. შეკვ. 2064 უე 10319

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# მოდა — 86





კოსტიუმი თანამედროვე ჩაცმულობის ერთ-ერთი უაღრესად გავრცელებული სახეა. იგი თავისი პრაქტიკული ხასიათით კარგად ეხამება თანამედროვე ქალის ინტელექტუალურ, ენერგიულ ბუნებას და ჩვენი დროის ცხოვრების აჩქარებულ ტემპს. მისი ჩაცმა შეიძლება წლის ყოველ დროსა და ყველაგან, როგორც საქმიან, ისე საზეიმო ვითარებაში. ამიტომ იგი თანამედროვე ჩაცმულობის უნივერსალურ სახედ არის მიჩნეული. და აუცილებელია ქალის გარდერობის შესავსებად. კოსტიუმი შეიძლება შეიკეროს ნებისმიერი ფერის ნებისმიერი ქსოვილისაგან. მისი ტარება ყველაზე პრაქტიკულია შემოდგომაზე.

მოდური კოსტიუმების საილუსტრაციოდ გთავაზობთ ესკიზების რამდენიმე ნაირსახეობას, რომელთა ავტორია თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული ტ. როიტუბი. მათ შექმნაში მან მისთვის ჩვეული ტაქტითა და ფაქიზი გემოვნებით გამოიყენა თანამედროვე მოდის თითქმის ყველა დამახასიათებელი სიახლე — სიგრძე, სილუეტი, ფორმა, ახალი პროპორციები, გაგანიერებული მხრები სახელოს ახალი თარგით, ჟაკეტის ორკალთიანი და ასიმეტრიული შესაკრავი, დიდი ზომის ღილები და დეკორატიული გვირისტით გაწყობილი გადაფენილი საყელოები.

ამგვარად, თქვენს ხელთ არის საშემოდგომო კოსტიუმის მოდელის რამდენიმე ვარიანტი. ალბათ თქვენი გარეგნობისა და ხასიათის შესაბამისად თქვენს არჩევანს რომელიმე მათგანზე შეაჩერებთ.

ლელი ხვედელიძე

617/134



ფასი 80 კაპ.

ინდექსი 76178